ეროვნული თავისუფლების გზით — პიროვნული თავისუფლებისაკენ
პიროვნული თავისუფლების გზით — ეროვნული თავისუფლებისაკენ

საქართველო

საქართველოს სახალხო ფრონტი
ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი
გამოდიოდა 1903-1905, 1915-1921 წ.წ. აღდგენილია 1989 წელს.

№ 21 (1356)

25/VI-21/VII, 1993 წ.

მომიტეხე ჭადი, მოგიტეხავ ყველსა, სოციალისტები ვართ შენცა და მეცა, შენ გენაცვალეე!..

ანუ

რა ღირს მუჩაიძისაგან მხარდაჭერა?

რამდენიმე დღის წინ პარლამენტის ერთ-ერთ სხდომაზე ეროვნული ბანკის პრეზიდენტისა და მინისტრთა კაბინეტის მესვეურთა მორიგი ურთიერთდაპირისპირების დროს, მიკროფონთან მოსულ დეპუტატ გურამ მუჩაიძის გამოსვლაში მეტად შთამბეჭდავად ითქვა: დვალიშვილს იმიტომ ებრძვიან, რომ ... დანიშვნამდე ეროვნულ ბანკში კრედიტის გაღებას 15-20 პროცენტი ნაღდი ფულის გადახდა უნდოდა და მისი მოსვლით ეს მანკიერი პრაქტიკა მოისპო.

გაუგებარია რატომ სდუმან ამ მძიმე ბრალდებაზე ეროვნული ბანკის ყოფილი მესვეურები?..

ყველაფერი ეს სოციალ-დემოკრატებისათვის „ჩვეულ" პირდაპირობად და უსამართლობასთან მორიგ შებრძოლებად აღიქმებოდა, რომ არა ერთი გარემოება. (აღარ ვსვამთ კითხვას იმის შესახებ, თუ რატომ იმ ხელმძღვანელების ხელმძღვანელობის დროში არ ამოიღეს ხმა, როცა სესხი 15-20 პროცენტი ღირდა)...

მკითხველის ყურადღებას მხოლოდ ერთი არცთუ მეორეხარისხოვან „დეტალზე" შევაჩერებთ. საქმე იმაში გახლავთ, რომ ამ ცოტა ხნის წინათ ილიას მკვლელთა იდეური შთამომავლების ლიდერმა გ.მუჩაიძემ ეროვნულ ბანკში პარტიისათვის სესხი გააფორმა 400 000 000 (ოთხასი მილიონის) ოდენობით და ეს თანხა ნაღდით გაიტანა.

ვიტყოდი ღმერთმა შეარგოთ-მეთქი, მაგრამ რატომ უნდა შეარგოს არსთა გამრიგემ იმ პარტიას, სოციალ-დემოკრატიული რომ ჰქვია, მშრომელი მასებისთვის რომ იკლავს სულ თავს 1898 წლიდან მოყოლებული, იმ მასების ნაოფლარი, შიმშილით რომ სული სძვრებათ?

როგორც შევიტყვე სესხის გამცემიცა და შიმღებიც ადრე კომპარტიის მნიშვნელოვანი პოსტების მფლობელნი ყოფილან და როგორც ჩანს სოციალისტებს ერთმანეთის მხარდაჭერა საშურ საქმედ მიუჩნევიათ...

ერთი კეთილშობილი ცხოველის არ იყოს-რკოს მომიტან, ჯაგარს მოგცემო, — ამ ისტორიაშიც გაუგებარი არაფერია, როგორც იტყვიან ხელი ხელს ბანს. მაგრამ იმ ხალხს რა ეშველება, ბატონებო, თქვენი წყალობით, ბაწარს ჭიანჭველის საშველად კი არა, გასაკეთებლად და შიგ თავის გასაყოფად რომ ეძებენ?

მ ღვინიაშვილი

სახალხო ფრონტელ პარლამენტართა ჯგუფის განცხადება საქართველოს პარლამენტის 1993 წლის 18 ივნისის სხდომაზე

საქართველოს სახალხო ფრონტის წევრ პარლამენტართა ჯგუფი თავს მოვალედ თვლის, განაცხადოს შემდეგი:

1. აღმასრულებელი ხელისუფლების მართვის სტრუქტურა არ შეესაბამება ქვეყანაში მიმდინარე რეფორმების სტრატეგიულ ხაზს, თუნდაც იმიტომ, რომ ის არ შეესაბამება ევროგაერთიანების რეკომენდაციების ძირითად პრინციპებს.

2. ძირეულად გადასახედია საკადრო პოლიტიკა აღმასრულებელ ხელისუფლებაში დიპლომატიური კორპუსის ჩათვლით. საკადრო პოლიტიკას საქართველოს სახალხო ფრონტი მიიჩნევს რეფორმების განხორციელების ერთერთ განმსაზღვრელ ფაქტორად.

ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, ვიზიარებთ მინისტრთა კაბინეტის რეორგანიზაციის მოთხოვნებს.

საქართველოს სახალხო ფრონტი მხარს ვერ დაუჭერს საპარალამენტო უმრავლესობა-უმცირესობის ხელოვნური ჩამოყალიბების მოთხოვნებს. ჩვენ ვთვლით, რომ საპარალამენტო უმრავლესობა და უმცირესობა თავისთავად გამოიკვეთება იმ პროგრამის მიმართ დამოკიდებულების მიხედვით, რომელიც სახელმწიფოს მეთაურმა უნდა წარმოუდგინოს პარლამენტს სახელმწიფოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის პრინციპების, ეკონომიკური პოლიტიკის, კონფლიქტების დარეგულირებისა და საკადრო პოლიტიკის სფეროებში.

იმ შემთხვევაში, თუ ჩამოყალიბდა სახელმწიფოს მეთაურის მიერ წარმოდგენილი პროგრამის მხარდამჭერთა უმრავლესობა, სწორედ ეს უმრავლესობა აყალიბებს ახალ მინისტთა კაბინეტს და მასთან ერთად კისრულობს პასუხისმგებლობას პროგრამის განხორციელებაზე და შედეგებზე.

ასეთ შემთხვევაში სახელმწიფოს მეთაური იმავდროულად უნდა გახდეს მთავრობის თავმჯდომარეც.

თუ მთავრობის მეთაურის პროგრამის მიმართ არ შეიქმნება უმრავლესობა, მაშინ უნდა ჩატარდეს ახალი საპარლამენტო არჩევნები.

საქართველოს სახალხო ფრონტის წევრი პარლამენტარები მხარს ვერ დავუჭერთ დღევანდელი მთავრობისათვის საგანგებო უფლებების მინიჭების იდეას, რამდენადაც ის ამას არ იმსახურებს. ამ საკითხზე მსჯელობა შესაძლებელია მხოლოდ მინისტრთა ახალი კაბინეტის ფორმირების შემდეგ. ამასთან ეს საკითხი აუცილებლად უნდა გადაწყდეს უახლოეს ხანში (საგაზაფხულო სესიაზე), პარლამენტის მიერ მიღებული დადგენილების შესაბამისად.

რაც შეეხება ჩვენს დამოკიდებულებას სახელმწიფოს მეთაურის ნებაყოფლობით გადადგომისადმი, ის ცალსახად უარყოფითია, რადგან იმ დროს, როცა ქვეყანა პოლიტიკურ და ეკონომიკურ კრიზისშია, როცა ომი დაუმთავრებელი და ჯერაც მოუგებელია, სახელმწიფოს მეთაურის ნებაყოფლობით გადადგომა ნიშნავს ერისა და ქვეყნის წინაშე პასუხისმგებლობის თავიდან აცილებას.

რა ხდება საქართველოს საზღვრებთან?

საქართველოს საბაჟო დეპარტამენტის უფროსს ბატონ ირაკლი ქადაგიშვილს

ბატონო ირაკლი ჩვალასთვის კარგადაა ცნობილი, თუ რა დიდი როლი ენიჭება საქართველოს საბაჟო სამსახურს ჩვენი ისედაც გაღატაკებული ქვეყნის ქონების დაცვაში, თუ რამდენადაა დამოკიდებული მის გამართულ მუშაობაზე მოუწესრიგებელი ფასებისა და ვაჭრობის ჯერ კიდევ ველური ფორმების პირობებში რის ვაი —ვაგლახით შემოტანილი საარსებოდ აუცილებელი სურსათისა თუ სხვა არანაკლები მნიშვნელობის საქონლის რესპუბლიკის ტერიტორიაზე დამაგრება. არამცდაარამც ეჭვის თვალით არ ვუყურებთ თქვენს კეთილსინდისიერებასა და საქმისადმი პროფესიულ დამოკიდებულებას, მაგრამ თქვენი დახმარების სურვილით გვინდა კონკრეტულ ფაქტზე შევაჩეროთ ყურადღება.

ერთი კვირის წინ თბილისი-ერევნის მატარებლით ვიმგზავრეთ, სადგურ სადახლოში ქართველმა მებაჟეებმა მატარებელი, რომელიც ფაქტიურად სავაჭრო ტრანსპორტადაა ქცეული, 4-5 საათით გააჩერეს, მაშინ, როცა სასომხეთის მხარემ საბაჟო შემოწმება მატარებლის გაუჩერებლად ჩაატარა. მიუხედავად იმისა, რომ მატარებლის დაგვიანებას შეიძლებოდა ჩვენი პირადი საქმეების გართულება მოჰყოლოდა, ამ ფაქტის გამო, ბუნებრივია, უკმაყოფილება არ გამოგვითქვამს. ჩავთვალეთ, რომ სასომხეთის მხარე წინააღმდეგი არ უნდა ყოფილიყო მის ტერიტორიაზე ტვირთების შედინებისა და შემოწმებას ქართველებისაგან განსხვავებით ფორმალურად ატარებდნენ, ჩვენში გარკვეულ ეჭვებს იწვევდა მხოლოდ ის, რომ ქართული საბაჟოს მოხელეებს მატარებლიდან არანაირი ტვირთი არ ამოუღიათ.

გვითხრეს, სასომხეთის საბაჟო სამსახური შემოწმებას თბილისის მიმართულებითაც მატარებლის სვლის შეუჩერებლად ატარებსო, რაც ასე მოხდა. სასომხეთიდან ალბათ არაფერია წამოსაღები, ვფიქრეთ ჩვენ, მაგრამ ერევანში დავრწმუნდით, რომ ვცდებოდით. ერევანი ყველა პარამეტრებით გაცილებით უკეთ გამოიყურებოდა ვიდრე თბილისი. თუ არ ჩავთვლით გაზისა და ელექტროენერგიის ფაქტიურად უქონლობას ერთი მხრივ, ქვასა და ხრიოკზე აშენებული და მეორე მხრივ, მეომარი სახელმწიფოს დედაქალაქი თბილისზე უკეთ გამოიყურებოდა. ზოგიერთ საქონელს გაცილებით დაბალი ფასები ჰქონდა, ვიდრე ჩვენთან და თბილისისაგან განსხვავებით, ვერც მოწყალების მისაღებად გამოსულ ადამიანებს შევხვდით ქალაქის ქუჩებში, რაც შესაძლოა სასომხეთისადმი რუსეთის გარკვეული „კეთილგანწყობით“ აიხსნება, (მათი პოლიტიკის ყოველგვარი შეფასებისგან თავს ვიკავებ). მაგრამ ფაქტია, რომ სასომხეთის საბაჟო სამსახური გაცილებით ცივილიზებულ სახეს ატარებს.

უკანა გზაზე მატარებელი ისევ დაიტვირთა ათასგვარი „იაშჩიკებითა“ და ფუთებით, მაგრამ სომეხმა მებაჟეებმა ისევ თავაზიანად, მატარებლის გაუჩერებლად ჩაატარეს შემოწმება. სადახლოში კი ისევ რამდენიმე საათით გაგვაჩერეს. პირველი ვაგონის ტამბურში მებაჟეებმა რამდენიმე ყუთი ტარხუნა აღმოაჩინეს. ატყდა განგაში და ვაი-უშველებელი. (სხვათა შორის, მებაჟეების მხრიდან იყო ნაციონალისტური გამოხდომებიც) და აი, რატომ: ტარხუნის პატრონს არ აღმოაჩნდა იმ რაოდენობის ფული, რასაც მებაჟეები ითხოვდნენ. ასეთ საქმეში მოგეხსენებათ ჟურნალისტს ცხვირს არავინ ჩააყოფინებს, როგორც მოქალაქეს კი, რბილად რომ ვთქვათ, შენი ადგილისკენ მიგითითებენ. ამიტომ ამ გარიგება-ინციდენტის დამთავრებას დაველოდეთ. მოლაპარაკება დახურულ ტამბურში გაიმართა, შემდეგ კი ერთ-ერთი დაზარალებულისგან შევიტყეთ, რომ მებაჟეები თექვსმეტი ათას მანეთს დასჯერდნენ. და ეს, რა თქმა უნდა მხოლოდ რამდენიმე ყუთი ტარხუნის ფასი გახლდათ.

ვაჭრობას, მოგეხსენებათ, ერთი მარტივი კანონი აქვს — ვაჭარმა მოგება უნდა ნახოს. საიდან უნდა აინაზღაუროს სასომხეთიდან ჩამოსულმა გამყიდველმა დანაკარგი? რა თქმა უნდა, ჩვენი ჯიბიდან. მაშ ჩვენი საბაჟო ჩვენს ქონებას იცავს თუ იმასთან ერთად, რომ ართულებს, ყოველ შემთხვევაში ხელს არ უწყობს სხვაა რესპუბლიკიდან გამოტარებული საქონლის საქართველოში შემოსვლას, გვძარცვავს კიდეც ჩვენ.

ბატონო ირაკლი, ვფიქრობ, ეს დანაშაულებრივი ფაქტი ერთადერთი შემთხვევა არ უნდა იყოს. იმედი გვაქვს თქვენი კეთილგანწყობისა ჩვენი რედაქციისადმი და გთხოვთ მოგვაწოდოთ ცნობები საბაჟოებზე დღევანდელი მდგომარეობის შესახებ. ვფიქრობ, თქვენ უფრო მეტი დარღვევები უნდა გქონდეთ აღნუსხული და ალბათ ამ მდგომარეობიდან გამოსვლის გეგმებზეც გვესაუბრებით.

ვახტანგ კომახიძე

ილანძღება ბინძური გენერალი

საქართველო — რუსეთისა და აფხაზთა დელეგაციების უკვე მერამდენე და კვლავ უშედეგო შეხვედრისას რუსეთის არმიის გუდაუთის დაჯგუფების სარდალს, გენერალ ჩინდაროვს აუგად უხსენებია ქართველი ხალხი. ამ ფაქტისაგან აღშფოთებულ ქართველთა დელეგაციას პროტესტის ნიშნად სხდომა დაუტოვებია, მაგრამ იქ მყოფთაგან ყველაზე დიდ რუსს ბოდიში მოხდია და დაშოშმინებული ქართველები ისევე მისხდომიან მოლაპარაკების მაგიდას. რა გვეშველება ქართველებს, ვინ მოგვიშუშებდა გრაჩოვ-სოროკინებისაგან მოყენებულ ტკივილებს ვორობიოვებიც რომ არ ყავდეთ რუსებს. მაგრამ ვინ არის ჩინდაროვი? ვინ და რუსეთის იმპერიალისტური პოლიტიკის წყალობით გამწარებული ყალმუხი ხალხის წარმომადგენელი რუსული გენერალიტეტის ელიტაში. დიახ ბატონო, იმ ერის შვილი ვის მიწაზეც ჩატარებულმა ერზაც ექსპერიმენტებმა გააუდაბურა, მოსრა ეს რეგიონი. ბუნებამ ისე იცვალა სახე ეს ხალხი ან უნდა აიყაროს მამა-პაპის მიწიდან ან გადაშენდეს ათასგვარი ეპიდემიებითა და დაავადებებით გათანგული. ამ დიდი ტრაგედიის შესახებ არა ერთი გადაცემა მოუმზადებია თვით იმპერიის ცენტრალურ ტელევიზიას იმ წლებში, როდესაც ეთერშიც და პრესაშიც სტალინური ბოლშევიზმის ლანძღვის ბული იდგა, თითქოს ბოლშევიზმის რომელიმე ნაირსახეობა რითიმე უკეთესი იყო. ჯერ კიდევ სამოცდაათიანი წლების დასაწყისში, როცა საბჭოთა არმიას ე.ი. რუსის ჯარს, მშვიდობიანი მოსახლეობის ბარებით აჩეხვის ფუნქცია კიდევ არ ჰქონდა მინიჭებული, „სამშობლოს დაცვის“ პარალელურად მათს სამკალში სიარულიც ევალებოდათ. მაშინ ამ სტრიქონების ავტორიც ყალუმუხი ხალხისათვის გათვალისწინებულ ნადში გაახაზირეს ე.წ. „ცელინნი ბატალიონში“. „მამა მეთაურები“ ყოველ პოლიტმეცადინეობაზე გვმოძღვრავდნენ: „რებიატუშკი“ (გვეფერებოდნენ, ყამირზე ჯარისკაცი უფრო იოლად შოულობს მეთაურის ჩასახეთქს) არავის და არაფერს მიეკაროთ „У. калмыков врождённый сифилис“-ო. ამ სიტყვებს ისეთი სატანური ცინიზმით გამოთქვამდნენ თითქოს ყალმუხი ხალხისათვის მათ მიერ იქ ჩატარებულ გეოპოლიტიკას არ მოეტანოს უბედურება. აი დღეს ასეთი ხალხის შვილი დახცინის ქართველებს, იმის მაგივრად, რომ დაფიქრდეს, გონება მოიკრიბოს და გააცნობიეროს, რატომ არის ამ რეგიონში სიცოცხლის საშუალო ასაკი ძალზე დაბალი, რატომ იბადებიან თვალაუხელელი ბავშვები და მაშინვე იხოცებიან და საერთოდ ვინ დაატეხა სტეპების ამ თავისუფალ ხალხს ეს ტრაგედია. არადა მას ამ რამოდენიმე ხნის წინათ ყალმუხეთის პრეზიდენტობა ნებავდა, კენჭსაც იყრიდა, მაგრამ ეტყობა ფიზიკურმა ტკივილებმა გონება ისე არ დაუჩლუნგა ყალმუხებს, რომ რუსის სამსახურზე გადამკვდარი სალდაფონისთვის ჩაებარებინა თავისი ბედილბალი.

ღმერთო აშორე ჩინდაროვის პროტეჟე აფხაზებს ყალმუხების ბედი, საბოლოოდ ნუ დაუბნელებ მათ გონებას და ამ სამოთხისდარ მიწას ისე ნუ გააუდაბურებ, როგორც ეს ყალუმუხეთში მოხდა.

არადა ამის რეალური საშიშროება რომ დგას, ეს რუსეთის სხვა სახელმწიფო „მუჟმა“, ელცინის დემოკრატ მოღვაწეთა გუნდის ლამის ცენტრალურმა თავმდასხმელმა შახრაიმ გვაუწყა — საქართველოსთან ხელშეკრულებას მაშინ მოვაწერთ ხელს თუ აფხაზეთიც და ოსეთიც ავტონომიებით იქნებიან გარანტირებული და საერთოდ ფედერაციულად უნდა მოეწყოთო. შახრაიმ არ შეიძლება არ იცოდეს რომ აფხაზთა ავტონომიას არასოდეს დამუქრებია ქართველი, ხოლო ოსთა ავტონომია მისი პრეზიდენტის მიერ ყაზბეგში საქართველოსთან ხელმოწერილი დოკუმენტის ძალით ყოფილად არის გამოცხადებული. ჩვენს ქვეყანას როგორ მოვაწყობთ ეს მხოლოდ ჩვენი საკითხავია. სად არის თავზევით ძალა თორემ ხელშეკრულებას კი არა დემოკრატ შახრაისა და რეაქციონერ ჩინდაროვის რუსეთისაგან მოსაშორებლად კავკასიონის მწვერვალებზე ცხრაპირ ეკლიან მავთულს გავავლებდით. ისე შენ უფრო კარგად გცოდნია ღმერთო ეს ულამაზესი და ძნელად გადასალახი ბუნებრივი ბარიერი ჩრდილოეთიდან რომ აგვაფარე, ყველაზე სულმდაბალი, გულნამცეცა მტრის მხრიდან, რაც კი ოდესმე შემოგვყრია ქართველებს ჩვენი სისხლით მორწყულ გზაზე. რუსს დღესაც ვერ გაუგია ის რაც საკუთარი ხელით მხარგაკრული ცოტნეს დანახვისას გაიგო მონღოლმა, თუმცა ეს ცალკე საუბრის თემაა.

მერაბ მაისურაძე

პარალელები

რა დიდროს ბრალია?

როსტომ ჩხეიძე

ადამიანი, მაგრამ დენი დიდრო მაინც რამ მაჩვენა.

ზმანებისას არც არაფერი გიკვირს და არც არაფერი გეუცხოება, მაგრამ დიდროს მოლანდება მაშინვე უცნაური მეჩვენა.

გულმა მიგრძნო, ის უნდა იყოსო, თორემ სახით არც მახსოვდა: ერთადერთი სურათი მაქვს ნანახი ოდესღაც, „რამოს ძმისწულს“ რომ ვკითხულობდი და მას მერე აღარც ეს წიგნი გადამიფურცლავს და არც სხვაგან წავწყდომივარ მის სახებას.

და, აბა, მშობლიურს რას მაგრძნობინებდა დიდროს ლანდი.

ხილვა ხილვად, ოღონდ გარინდებული ანდა თავისთვის მიმავალი კი არ მჩვენებია, რაღაცას მღელვარებით მომმართავდა: თავს იმუნათებდა და მისი სულიერი ტანჯვა, ანთებული თვალებიდან რომ იღვრებოდა, ამიტომაც იყო ასეთი დაუშოშმინებელი. „რა ჩემი ბრალიაო“, წამდაუწუმ იმეორებდა, მაგრამ იმგვარი კილოთი, თვითონვე არა სჯერდა. უცებ ვერც მივხვდი, რას განიცდიდა და მდუმარედ შევყურებდი. თანაგრძნობა ვერც დაუცხრობდა აბორგებულ ეჭვებს, ჯიდრე თვითონვე არ მიაკვლევდა სიმართლეს, რომლის ძიებასაც გადააგო მოკლე ცხოვრება. ძიების ამ გზაზე არავითარი დაბრკოლება, არავითარი საშიშროება არ არსებობდა მისთვის: თავგანწირვით მიარღვევდა ლაბირინთს, სადაც საეკლესიო ცენზურასა და ხელისუფლებას საფრანგეთის თავისუფალი აზრი შეემწყვდია. მანამდე სხვები აწყდებოდნენ ამ დახუფულ, საზარელ კედლებს, მანამდე სხვები დაბორიალობდნენ მრუმე წკვარამში და ნაბიჯ-ნაბიჯ მიიწევდენ გასასვლელისკენ: იქ ეგულებოდათ დიდი სინათლე და გასაცვიფრებელი სანახაობანი — შეუზღუდავი, ჩაუკეტავი... სიცოცხლის აზრი და გამართლებაც ეს იყო და თავიც ამიტომ გადაედოთ: თვითონ თუ ვერ მიწვდებოდნენ მზის ნათელს, მათ კვალზე შემდგართ მაინც ღირსებოდათ სულიერი თავისუფლება.

და კიდეც დამდგარიყო გარდატეხის ჟამი.

ჰუმანისტური მოძრაობის მიზანდასახულებამ შეაზანზარა უმკვიდრესად ნაგები ეს ამხელა შენობა.

დენი დიდროსა და თანამოაზრეთ გადამწყვეტ ხანაში ერგოთ მოღვაწეობა და თუკი ეს ხანა მართლა გადამწყვეტი იყო, მათ თავგანწირვას უნდა დაემტკიცებინა.

დიდრო მაინც არაფერს შეპუებია: „ენციკლოპედიის“ გამოცემა რომ წამოიწყო და ხელისუფლებისაგან განსხვავებულად მოაზროვნენი თავის გარშემო შემოიკრიბა, ეს უკვე ნიშნავდა, რომ ყველაზე მეტი თვითონ უნდა ეტვირთა — ზოგნი თუ შედრკებოდნენ და თანდათან ჩამოეცლებოდნენ, თვითონ უნდა გადაფოფრებოდა და კბილებით დაეცვა ყოველი დარჩენილი მეგობარი და ყოველი შეხედულება. ისედაც თვალსაჩინოდ წამომართულიყო და არც ბეზღობანი აკლდა, დაუსრულებელ ნაკადად რომ მიედინებოდა პოლიციასა და პარლამენტში: აშინებდნენ — არ ეშინოდა, დევნიდნენ — არ ეპუებოდა; ზურგს უმაგრებდნენ სახელიანი თუ უსახელოდ გარდასული წინამორბედნი და მათი ტანჯული ცხოვრების გამართლება ახლა დიდროს ხელთ იყო.

ვოლტერი ურჩევდა: საფრანგეთის დატოვება გიჯობსო. დიდროც ატყობდა, რომ ამ მძვინვარე მზეცის — იანსენისტური პარლამენტის — სისხლზე დაგეშილი მზერა უპირველესად მისკენ იყო მიპყრობილი და ის ფიქრიც არ ეშვებოდა, ვაითუ კიდეც ვინანო, ვოლტერის რჩევა რომ არ შევისმინეო...: მაგრამ სამშობლოს მიტოვების უფლებას ზნეობა არ აძლევდა: „...რა იქნებოდა ჩემი სიცოცხლე, თუკი მას მხოლოდ იმ პირობით შევინარჩუნებ, რომ უარს ვიტყვი ყველაფერზე, რაც მას ჩემთვის ძვირფასად ხდის?“

პოლიციაზე ულმობელიც და შეუვალიც საეკლესიო ცენზურა იყო: სახელმწიფოს იდეოლოგიური საყრდენი და ყოველგვარი განსჯისა და ძიების ამკრძალავი. და თუმცა ქრისტეს სჯულს აეფარებინა, სინამდვილეში სრულიად დაშორებოდა ამ მოძღვრებას — მის მთავარ ძარღვს სიცოცხლის აზრის ძიებისა. ეკლესია მხოლოდ დოგმებს აღიარებდა ქრისტიანობისას, იმასაც თავისთვის სასურველ მსჯელობაში მოაქცევდა და ქრისტეს სახელით თრგუნავდა აზრის თავისუფლებას. ნიღბად მოერგო, მაგრამ ეს ნიღაბი ისე მჭიდროდ მიეტმასნა სახეზე, გაძნელებულიყო ამ ორი მოვლენის — ქრისტეს მოძღვრებისა და ეკლესიის — დაშორებაშორება. ყოველ შემთხვევაში, უმწვავესი დაპირისპირებისას მათ დაცალკევებაზე აღარავის უბრუნია და საეკლესიო ცენზურას შებმულნი არანაკლები გაშმაგებით მიეტანნენ ღვთის რჯულს: ჯვარცმა აღმართულიყო ლაბირინთის გასასვლელში და ის უნდა დალეწილიყო სიმბოლურადაც და რეალურადაც. მხოლოდ მისი დამსხვრევა გააცამტვერებდა ეკლესიის ძალაუფლებას. ამ მიზნის აღსასრულებლად თავიანთი წმინდა მოწამენიც არ დანანებიათ, ვოლტერმა თვით ჟანა დარკის სახელი გაამასხრა, ეროვნული გმირის, ვისაც მარტოდენ ის ბრალი მიუძღოდა, რომ ეკლესიამ — ჯერ რომ კოცონზე დაწვა, ვითომდა ერეტიკოსობისათვის — წმინდანად შერაცხა. და ვინც საკუთარ მოწამეებს გაიმეტებდა, უცხო, შორეულ უდაბნოს ღმერთს გაცილებით იოლად შეელეოდა და არც არანაირ გამოთქმებს მოერიდებოდა. ეკლესიასა და პოლიციაში მოყურადეებს ამბავი მიჰქონდათ: დიდრო ისე მკრეხელურად იხსენიებს მაცხოვარსა და ღვთისმშობელს, გამეორებას ვერ ვბედავთო.

„მონაზონიც“ რეალისტურ რომანად ჩაეფიქრებინა და განზრახ არაფერს აზვიადებდა პროპაგანდული მიზნით. მონასტის კედლებში მართლა გამეფებულიყო სიცრუეც, გარყვნილებაც და სისასტიკეც და საერო ცხოვრებას მოწყვეტილ წრფელ და მგრძნობიარე ყმაწვილთათვის გაუსაძლისი იყო კლერიკალური რეჟიმის პირობები. მართალია, მონასტრული ყოფა სახელმწიფოს ცხოვრების წესს აირეკლავდა, მაგრამ გარეგნული სიპირქუშე კიდევ უფრო აძნელებდა მასთან შეგუებას: თითქოს ჰაერიც ფანატიზმით გაჟღენთილაო. ყოველგვარი პროტესტი აშიტომაც ისჯებოდა უმკაცრესად, მაგრამ დაუოკებელი რჩებოდა სინათლისაკენ ლტოლვა. და დრამატული ყოფითი სცენები — ვთქვათ, ამგვარი: „როგორც კი დიდროს ყოველი თხზულება — რომანებიც, პიესებიც, ფილოსოფიური ტრაქტატებიც, პუბლიცისტური სტატიებიც — ჰუმანისტური მოძრაობის იდეებით გამსჭვალულიყო; თავის მხრივ, კიდევ უფრო ხვეწდა ამ იდეებს, მკაცრ ფორმულებად და რევოლუციურ მოწოდებებად აყალიბებდა.

გარდატეხაც ეს იყო: ჰუმანისტურმა მოძრაობამ მოთავავა თეორიული განსჯანი და ახალი მრწამსის აღსრულება გამოფხიზლებულსა და აზვირთებულ ხალხს გადაულოცა: სიტყვას იარაღი შეეშველა.

„მაშ რა გვექნა, ისე გაგრძელება აღარ შეიძლებოდა; ვიდრე აზროვნების წადილი, თუნდ ნამცეცები ჯერ კიდევ ღვიოდა ხალხში, მანამ უნდა გვეშველა, თორემ მერე გვიანღა იქნებოდაო“ — რაღაც ამგვარს ამტკიცებდა დიდროს აჩრდილი; და დათმობა და მორიგება ეკლესიასთან ამიტომაც მიაჩნდა ზნეობრივ დანაშაულად. მორიგება მხოლოდ იმის მაუწყებელი იქნებოდა, რომ საყოველთაო ბედნიერებისა და სამართლიანობის დამკვიდრება ან განუხორციელებელ იდეად დარჩებოდა და ან საუკუნეებს იქით გადაიწევდა... მაგრამ ბედისწერას იმთავითვე ასე განესაზღვრა: ჰუმანისტური მოძრაობა რევოლუციას დაეგვიანებინა და ზეციური სამოთხე მიწიერი სამოთხით მას შეეცვალა.

„ადამიანთა თანასწორობა“ — ეს იყო განმანათლებელთა მოძღვრების ქვაკუთხედი და სრული გადატრიალება საკვეყნო ცნობიერებაში — გამაოგნებელი თავისი უშეღავათობითა და მოულოდნელობით.

„ყველა თანასწორია“ — ამის მტკიცებამ ყველაზე მძლაურად შეაჯანჯარა და აიყოლია ადამიანის გონება და სულში მთვლემარე სწრაფვებს სხვაგვარად მიაყურადეს.

„ყველა თანასწორია“ — ამ იდეას ჩაეჭიდნენ რევოლუციის თავკაცებიც და უბილავი, გონებაზე აღბეჭდილი გადატრიალება კიდეც აქციეს რეალობად.

საფრანგეთში უჩვეულო მღელვარებამ გადაიარა.

ხალხის აზვირთებამ, უპირველესად, ენციკლოპედისტები აღაფრთოვანა: თვითონაც წინამორბედებივით მომავლის რწმენით არ ჩავდოდნენ სამარეში, აგერ, მათ თვალწინ ისხამდა ხორცს საუკუნეობრივი ოცნება დასხვათა თუ საკუთარი ტანჯვისა და გარჯის ნაყოფს თვალნათლივ შეჰყურებდნენ.

მღელვარებდა საფრანგეთი და იქით მიპყრობილი მთელი ევროპის მზერა. კაცობრიობის ისტორიაში ახალი ერა დგებოდა და, ვინ ვის დაასწრებდა, ყველა ესალმებოდა, ყველა აღტაცებით ეგებებოდა: გერმანელი თუ ინგლისელი, ესპანელი თუ იტალიელი... ცხადია, მათ გარდა, ვინც გადაჰყვებოდა საფრანგეთში 1789 წლიდან ამოვარდნილ ჭარიშხალს... ლამის ყველას წილი დაედო ჰუმანისტური მოძრაობის ამ გაუგონარ გამარჯვებაში, ლამის ენციკლოპედისტებისთვისაც წაეჭარბებინათ: და ზოგი თუ ნადავლის მოტაცებას ეშურებოდა, ანდა დამუქრებული მზერით გადახედავდა თავისი ქვეყნის წეს-წყობილებას, ზოგსაც მართლა სჯეროდა იმ არნახული სიკეთისა, რასაც ახალი ეპოქა უქადდათ.

და ვიდრე სხვანი თავიანთ წვლილსა თუ წილს წონიდნენ, ენციკლოპედისტები პირველნი დადგნენ მოულოდნელობის წინაშე: ეს, რაც ხდებოდა, თითქოს სხვა იყო და არა ის, რაზეც ოცნებობდნენ, რისი გულისთვისაც თავი გადაედოთ და ცის გახსნასავით მოელოდნენ... არა, ნამდვილად სხვა რაღაც ხდებოდა... ერთის ნაცვლად მეორე მოევლინათ... როგორ, განა ეს ცოდვის კალო, ეს სისხლის მორევი მათ გამოიწვიეს, განა ამას ესწრაფვოდნენ?!.

„ჩვენ ეს არ გვინდოდა!..“ ვაებდა დიდრო აჩრდილი და მართლაც არ ენდომებოდათ სიბნელის გაღვიძება, მაგრამ ეს უკიდეგანო სიბნელე მათი ხელით ატორტმანებულიყო და ვეღარაფერი შეაკავებდა: ენციკლოპედისტები კიდეც განუდგნენ რევოლუციად მონათლულ ცოდვა-ბრალის ტრიალს და კიდეც გაირიყნენ აზავთებული ძალის მიერ.

„ჩვენ ეს არ გვინდოდა!..“ — მაგრამ აღარ იყო გარჩევა არავისა და არაფრისა, დანდობა აღარ არსებობდა, ღირსების გრძნობა გაჭარწყლებულიყო, ზნეობა საბოლოოდ დაცემულიყო და აღარც არანაირი იმედი ჰიატებდა ბედისწერის შემობრუნებისა: კაცობრიობას უკვე ამ გზით უნდა ევლო, სადაც ყველაფერი ნებადართული იქნებოდა, ევლო, ვიდრე სრულიად არ ამოიწურებოდა და გადაფასდებოდა რევოლუციური თეორიები და ადამიანი მწყურვალივით მიმოაწყდებოდა ღმერთის საძიებლად: დამხობილი, უარყოფილი ღმერთის, ფეხქვეშ გათელილი ზეციური მსაჯულის...

მაგრამ განებებენ კი უფლის კალთას შეეფარო?! ახლა მაინც მოახერხებს ადამიანი, რომ იგი ღმერთის სახელით ვერავინ დაკაბალოს?! არავინ ჩაუდგეს შუაში და ზეცისაკენ მიმავალი ნათელი არავინ გადაუკეტოს?! მაგრამ ეს უკვე სხვა შემოტრიალების ხანაა, ეს ჩვენი დროა, იმედით რომ შევყურებთ გაურკვეველ მომავალს, მაშინ კი ყველა ერთბაშად ჩამოეცალა საზარელ სისხლისღვრებს. სისხლიანი ყველა განმანათლებელი დაიფრენ-ფრენია: ვას ყველა მოერიდა, მაგრამ როგორ გინდა დანტონსა თუ რობესპიერს, მარატსა თუ სხვა მათ მსგავსთ აჰკიდო მთელი ცოდვები. რაც ჩაიდინეს, თვითონ კი არ გამოუგონიათ: განმანათლებელთა მხრებზე იდგნენ და მათ გაკვალულ გზას მიჰყვებოდნენ. და, აბა, რას იზამდნენ: რა გარემოში და როგორი სულისკვეთებითაც გაიზარდნენ, იმ იდეალის აღსრულებას შეეწირნენ და ერთმანეთიც შეწირეს. და ვერაფრით ვერ აეხსნათ, თუ რატომ გადაუდგნენ, რას ეშუნათებდნენ თავიანთი იდეოლოგები.

დიდროსა და მის თანამზრახველთ კი ის ვერ აეხსნათ, სად დაშორდა ერთმანეთს ჰუმანური ზრახვანი და ჰუმანისტური მოძრაობის იდეები. თითქოს ერთსა და იმავეს ნიშნავდა, თვითონ ყოველთვის აიგივებდნენ და თურმე არ ყოფილა ასე: იქნებ თავიდანვე, იქნებ მერე გადაიხარა კალაპოტი... მაგრამ განსჯა გვიანღა იყო: რობესპიერი მოქცეულიყო აზვირთებული ტალღების თავზე, და აბსტრაქტული იდეებით შთაგონებულსა და მოვლენათა საჭეთმპყრობელს, რაიმე მნიშვნელობა რატომ მიენიჭებინა, ამ იდეათა მასაზრდოებელნი რას ნანობდნენ და განიცდიდნენ.

გახსოვთ ის სახუმარო სიტყვები, გავროში რომ მღერის ჰიუგოს „საბრალონში“. ეს ცოტა მოგვიანო ხანაა, 1832 წელი, ივლისის რევოლუციის დღეები, მაგრამ კვლავ ტრიალებს ვოლტერისა და რუსოს სახელები და მათი ხსენება გულისხმობს ყველა განმანათლებელს, რომელნიც — სურდათ თუ არა სურდათ — რევოლუციათა შთამაგონებლებად შემორჩნენ ისტორიას. ყმაწვილ გავროშზეც საერთო განწყობილება მოქმედებს და ისიც ამიტომაა შეთამამებული ამ სახელებთან, რომ მათ გარდასულ მოღვაწეებად კი არ აღიქვამდნენ, არამედ — თავიანთ გვერდით მდგომებად ბარიკადებზე.

ეს ვოლტერის ბრალია, ეს კი რუსოს ბრალია — მღერის პატარა ბიჭი და თუმც ამ სიტყვას — ბრალი — სახუმარო ლექსში სულ სხვა შინაარსი აქვს, მაგრამ აქედან რომ გავხედავთ, ხუმრობაში ის სიმართლე გვეცნობა, რომ მათ განსაზღვრეს და მორალურად დააკანონეს სახელმწიფო გადატრიალებათა აუცილებლობა და ზნეობრივ პასუხისმგებლობას ვერასოდეს დააღწევენ თავს.

არც ისე შეიძლებოდა ცხოვრების გაგრძელება, რა ყოფაშიც ჩაეთრია ქვეყანა რელიგიურ ფანატიზმს, მაგრამ არც მისი დალეწვა აღმოჩნდა საშველი. ერთმა უკიდურესობამ მეორე უკიდურესობა გამოიწვია და ზომიერება თვალდახელშუა დაიკარგა. იოლად ნუ განვსჯით: რა სჯობდა... რაც ხდება, ეტყობა, გარდაუვალია... ყოველთვის დაბეჯითებით ვიცით, როგორ უნდა მოიქცნენ სხვები, თუნდაც დიდი სახელები, მაგრამ ვერასოდეს ვიგებთ, ჩვენ თვითონ როგორ მოვიქცეთ...

„ჩვენი რა ბრალია, ჩვენ ეს არ გვინდოდაო“ — სიკვდილის წინაც ალბათ ეს აშფოთებდა დიდროს და გაუნელებელი სატკივარი აჩრდილადქცეულსაც არ მოასვენებდა...

საოცარი კია: უილიამ ფოლკნერის ათასამდე ფოტოსურათი მაინც მეკნება ნანახი, მისი ხმაც მომისმენია, ფრაგმენტებს რომ კითხულობს თავისი რომანებიდან, მისი წიგნები წამდაუწუმ ხელში მიჭირავს, დიალოგები მითარგმნია კიდეც, მაგრამ ფოლკნერის სახება გაელვებითაც არასოდეს დამსიზმრებია... და ეს დენი დიდრო ნეტა საიდან გამომეცხადა?!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძლიერი სასამართლო ძლიერი სახელმწიფოს გარანტია

გაზეთ „საქართველოს“ რედაქცია კიდევ ერთი ახალი წამოწყების ინიციატორად მოგვევლინა. დღეიდან ნომრის სტუმრები იქნებიან ის ადამიანები, ვისაც განგებამ ახალი საქართველოს მშენებლობის ურთულესი და ამასთან საპატიო მისია დააკისრა.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს ბატონ მინდია უგრეხელიძეს არც საზოგადოებისათვის და არც ჟურნალისტებისათვის წარდგენა არ სჭირდება — იგი საკმაოდ კარგა ხანს იყოფდა კალმოსანთა საძმოს არცთუ ტკბილ ლუკმას. ალბათ, ამიტომაც ერგო პირველობა ამ სერიალის დაწყებისა, რომელმაც ჩვენს მკითხველს უნდა აუწყოს, თუ ვინ აშენებს და როგორ აშენებს თავისუფალ, დემოკრატიულ საქართველოს.

სტუმარს, რომელთან შეხვედრაც საქართველოს სახალხო ფრონტის სხდომათა დარბაზში მიმდინარეობდა, მობრძანებისათვის მადლობა გადაუხადა და პირველი კითხვის უფლებითაც ისარგებლა გაზეთის რედაქტორმა ბატონმა ნოდარ გრიგალაშვილმა:

— კომუნისტური რეჟიმის დროს მართლმსაჯულებას არ ჰქონდა ავტორიტეტი, ნდობა. სადღეისოდ ეს მდგომარეობა მეტნაკლებად გრძელდება. რით შეიძლება ეს აიხსნას?

— სამართლებრივი სახელმწიფოს შექმნის, მართლმსაჯულების დამოუკიდებლობის ქმნადობის პროცესი, სასამართლოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა არა თუ არ დამთავრებულა, არამედ ფართო მასშტაბით იგი მხოლოდ ახლა იწყება. ის, რომ ქართულ მართლმსაჯულებას წერტილი აქ, საქართველოში დასმოდა, ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის დაშლამდე მოგვარდა. წინათ ეს ხდებოდა მოსკოვში და ეს ეპოქა, საბედნიეროდ, სამუდამოდ დასრულდა. ასევე დასრულდა ერთპარტიული დიქტატი 1990 წლის ნოემბრიდან. მიღებული იქნა სხვა კანონებიც, მართლმსაჯულებას რომ წაადგა თვითდამკვიდრების საქმეში.

ჩვენი მართლმსაჯულების დეპარტიზაცია და დეპოლიტიზაცია გაცილებით ადრე მოხდა, ვიდრე საბჭოთა კავშირის ნებისმიერ სხვა რესპუბლიკაში. შემდგომ, როცა ხელისუფლება შეიცვალა, შესაბამისი პროცესები კიდევ უფრო დაჩქარდა. კერძოდ, გამოცხადდა 1921 წლის კონსტიტუციის აღდგენა, რა თქმა უნდა, გარკვეული ცვლილებებით იმ ნაწილში, სადაც იგი არ შეესატყვისებოდა დღევანდელ სინამდვილესა და რეალობას. როგორც 1921 წლის კონსტიტუციამ, ისე შემდეგში მიღებულმა „კანონმა სახელმწიფო ხელისუფლების შესახებ“ ცნო სასამართლოს დამოუკიდებლობა, როგორც საერთოდ ხელისუფლების ერთ-ერთი განშტოებისა, რასაც არ ითვალისწინებდა არც საბჭოთა კონსტიტუცია და არც ის კონსტიტუცია, რომელიც მოქმედებდა 1990—91 წლებში. ეს თავისთავად უკვე დიდი მიღწევაა, თუმცა სრულიადაც არ არის საკმარისი.

შემდგომი ეტაპი უნდა იყოს 1921 წლის კონსტიტუციის ახალი რედაქციის შემუშავება, რათა საბოლოოდ გაფორმდეს სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობა და მის საფუძველზე შემუშავდეს ე.წ. ორგანიკული კანონები. ამით სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობა და მართლმსაჯულების დამოუკიდებლობის კონსტიტუციური დებულებები სათანადო საკანონმდებლო გარანტიებით იქნება განმტკიცებული.

ჩვენ ჯერ არა გვაქვს ისეთი კანონები, რომლებიც უზრუნველყოფენ ადამიანის უფლებათა სრულფასოვან დაცვას. ამიტომ ხშირად გვესმის სამდურავი და გულისწყრომა. ეს, ნაწილობრივ, აიხსნება აღნიშნული კანონების არარსებობით, ან არსებულის არასრულფასოვნებით, ნაწილობრივ კი იმ ადამიანებით, რომლებიც არ შეეფერებიან სასამართლო მოღვაწის ან, თუნდაც, სასამართლო მოხელის მაღალ სტატუსს. მომავალში კანონმდებელმა უნდა იზრუნოს როგორც სრულფასოვანი კანონების მიღებისათვის, ისე იმ დამცავი მექანიზმისათვისაც, რომელიც მართლმსაჯულებას დააზღვევს ულირს „მსახურთაგან“. ამ პროცესში მე უაღრესად აქტუალურად მესახება თუნდაც ეს შეხვედრა, რადგან თუ ვინმეს სჭირდება ასეთი კონტაქტები, ეს სჭირდება სასამართლოს, რათა მას არ მოაკლდეს საზოგადოებრივი აზრის მხარდაჭერა. როცა სასამართლოს რეფორმა დაიწყო, ჩვენ უპირველეს ამოცანად, თუ შეიძლება ასე ითქვას, მივიჩნიეთ ჩვენი საქმიანობის საზოგადოების თვალთახედვის არეში გამოტანა. ყოველივე ეს უპირატესად ერთ ძირითად მიზანს ემსახურება — რაც შეიძლება მალე და უმტკივნეულოდ მოხდეს სასამართლო ხელისუფლების გამოხსნა და გამოცალკევება საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლებისაგან. დღეს საქართველოში ეს პრობლემა მეტად მწვავედ დგას; არა მარტო სასამართლოს დამოუკიდებლობა, არამედ მოსამართლისაც, რადგან სასამართლოს დამოუკიდებლობა და მოსამართლის დამოუკიდებლობა არ გახლავთ იდენტური ცნებები. ამ საკითხებზე პირუთვნელი სჯა-ბაასი ნებისმიერ ადამიანთან სასურველია, მაგრამ მინდა შეგახსენოთ, რომ თუ ვინმეა შეზღუდული სასამართლოში განსახილველი კონკრეტული საქმეების შესახებ აზრის გამოთქმის მხრივ, უწინარეს ყოვლისა, ეს არის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე. ამას ნურც ახირებად ჩამითვლით და ნურც ჭირვეულობად. ეს ხდება მოქმედი კანონმდებლობისა და საყოველთაოდ აღიარებული საერთაშორისო ნორმების ძალით. უზრუნველყოფილი უნდა იყოს უზენაესი მსაჯულის ფუნქცია — თუკი უზენაესი მოსამართლე წინასწარ გამოთქვამს თავის აზრს, მაშინ იგი გასაჩივრების ან გაპროტესტების შემთხვევაში, — უპირატესად ვგულისხმობ საზედამხედველო წესით გასაჩივრებას ან გაპროტესტებას, — კარგავს უფლებას საბოლოო მსჯავრი გამოიტანოს განსახილველ საქმეზე.

— ბატონო მინდია, ზემოთ კანონი სახელმწიფო ხელისუფლების შესახებ ახსენეთ, მასზე მითქმა-მოთქმა არ წყდება და განსაკუთრებით ახლა, ამ ბოლო დღეებში აგორდა ახალი ტალღა, თქვენთვის ცნობილი მოვლენებისდა გამო. როგორც უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე, როგორ შეფასებას მისცემდით მას?

— აღნიშნული კანონი, ცხადია, ვერ იკისრებს საკუთრივ კონსტიტუციის ფუნქციას. ეს არის კანონი, რომელიც იმის მაგივრობას წევს, რაც უნდა ყოფილიყო, რათა საზოგადოებას ურთულეს სოციალურ-პოლიტიკურ და სამართლებრივ ვითარებაში თავისი არსებობა შეენარჩუნებინა. კანონის ის ნაწილი, სადაც მე აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ, შემიძლია მთელი პასუხისმგებლობით განვაცხადო, ძირითადად აკმაყოფილებს თანამედროვე მოთხოვნებს. ბუნებრივია, მე მხედველობაში მაქვს მართლმსაჯულების ნაწილი. კანონში, როგორც ზემოთაც ავღნიშნე, სახელმწიფო ხელისუფლება განაწილებულია სამად. ეს მთლიანად შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს. ამ კანონმა ჩვენს ყოფასა და ცნობიერებაში დამკვიდრებული გამოთქმა „სამართალდამცავი ორგანოები“ დიფერენცირებული გახადა. სხვათა შორის, კანონპროექტის თავდაპირველ ვარიანტში ასეც იყო და, არცთუ ჩვენი მონაწილეობის გარეშე, მოხდა მისი შესწორება. ამით კიდევ ერთხელ გაესვა ხაზი იმას, რომ მართლმსაჯულება და სასამართლო არ შეიძლება გაუთანაბრდეს სხვა სამართალდამცავ ორგანოებს — პოლიციას, პროკურატურას და სხვა. რაც შეეხება ხსენებული კანონის სხვა ნაწილებს, ეს სწორედ ის შემთხვევაა, სადაც მე არა მაქვს აზრის გამოთქმის უფლება, რადგან თუ უზენაეს სასამართლოს მიენიჭება კონსტიტუციური სასამართლოს ფუნქცია, ანუ ნებართვა კანონის კონსტიტუციურობის საკითხთა განხილვისა, მაშინ მე წინასწარ მექნება გამოთქმული აზრი იმის შესახებ, რაც შესაძლოა შემდეგში გახდეს განსასჯელი.

ჯერ კიდევ სახელმწიფო ხელისუფლების შესახებ კანონის მიღებამდე ბატონმა ირაკლი წერეთელმა განცხადებით მიმართა უზენაეს სასამართლოს, რათა აქ განეხილათ საქმე იმის თაობაზე, შეესაბამება თუ არა „დებულება საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის არჩევნების შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციას. ვინაიდან არც მოქმედი საპროცესო კანონმდებლობით, და არც სპეციალური კანონით კონსტიტუციასთან შესაბამისობის საქმეთა განხილვა ჯერჯერობით არ განეკუთვნება სასამართლოს კომპეტენციას, უარი ითქვა განცხადების მიღებაზე; თუმცა, კიდევაც რომ დაძებნილიყო სათანადო სამართლებრივი საფუძველი, განცხადება მაინც ვერ მიიღებოდა განსახილველად კონსტიტუციური კონტროლის მექანიზმისა და მისი განმსაზღვრელი სპეციალური კანონის უქონლობის გამო. იგივე მდგომარეობაა დღეს, როცა საქართველოში ბევრი საკითხის განხილვა რთულდება სათანადო კანონმდებლობის არარსებობის გამო.

თუმცა, დავუბრუნდეთ დასმულ საკითხს. მკაფიოდ უნდა ითქვას, რომ კანონი სახელმწიფო ხელისუფლების შესახებ საკმაოდ უჩვეულო დოკუმენტია, რომელმაც ჭრელათაღელვა გამოიწვია, როგორც ჩვენში, ისე უცხოეთში. ზოგმა უაღრესად საინტერესოდ ჩათვალა, ზოგმა მისაღებად, ზოგი კიდევ წინააღმდეგია. რაც შეეხება იმას, თუ რამდენად გაამართლა, ამაზე ისტორია გაგვცემს პასუხს.

— რა აზრის ხართ იმ განყოფილებაზე, რომელიც სასამართლოს შეეხება, — ლაპარაკია 1921 წლის კონსტიტუციაზე, — და როგორ აისახება იგი ახალ კონსტიტუციაში?

— პირადად ჩემი და მრავალი ჩემი კოლეგის აზრით 1921 წლის კონსტიტუციის კონცეპტუალური დებულებანი სასამართლო ხელისუფლების შესახებ სავსებით მოსაწონი, მისაღები, და გასაზიარებელია. გარდა ამისა, მე განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო ის თავი, სადაც საუბარია მოქალაქის უფლებებზე. შესანიშნავი იურისტების წყალობით, რომლებიც მონაწილეობდნენ 1921 წლის კონსტიტუციის შემუშავებაში, ამ ნაწილმა ერთგვარად გაუსწრო დროს და იგი დღესაც საკმაოდ სრულყოფილად გამოიყურება. ხანდახან მიკვირს კიდევაც, როგორ მოხერხდა მაშინ, უმოკლეს დროში, ასეთი დახვეწილი კანონის შექმნა. მიუხედავად ამისა იგი მოითხოვს შევსებას მთელი რიგი ისეთი დებულებებით, რომლებიც სამართლებრივი განვითარების ომისშემდგომი პერიოდის მონაპოვარია. თუმცა, ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, რომ ეს დებულებები კი არ დაუპირისპირდება, რაც უკვე არის კონსტიტუციაში, არამედ განავრცობს და განავითარებს მას.

— როგორია თქვენი დამოკიდებულება მართლმსაჯულების ამერიკული მოდელისადმი, გვექნება თუ არა კონსტიტუციური სასამართლო?

— საერთოდ წინააღმდეგი ვარ ყოველგვარი სპეციალური და სპეციალიზებული სასამართლოებისა. კონსტიტუციური კონტროლის ფუნქცია, დაახლოებით კანადური მოდელის მიხედვით, უზენაეს სასამართლოს უნდა დაეკისროს.

რაც შეეხება ჩემს დამოკიდებულებას მართლმსაჯულების ამერიკული მოდელისადმი, იგი დადებითია. სასამართლოს მოწყობის ევროპული მოდელი ვერ არის მთლად დემოკრატიული. გაგიკვირდებათ, მაგრამ თავისი კონსერვატიულობით, ზოგიერთი ევროპული კანონი იმასაც კი აშკარად სჭარბობს, რაც ჩვენში შემორჩა საბჭოური რუდიმენტების სახით. აქვე უნდა აღვნიშნო, რომ არც ამერიკული მოდელის უცვლელი სახ[...] გადმოღება იქნებოდა სწორი. ჩვ[...] ტრადიციების ხალხი ვართ და [...] უნდა გავითვალისწინოთ. მე, მაგალ[...]თად, თანამედროვე ეტაპზე მხარ[...] ვერ დავუჭერ ნაფიც მსაჯულთ[...] ინსტიტუტს. ნაფიც მსაჯულთა სა[...] სამართლოში ბრალეულობის სა[...]კითხს არაპროფესიონალები წყვე[...]ტენ, თანაც ისე, რომ არც [...] მოეთხოვებათ ამის მოტივაცია; მა[...]

თი აცილებაც ასევე არავითარ მოტივაციას არ საჭიროებს; რაც მთავარია, ნაფიც მსაჯულთა სასამართლო თავის დროზე შემოღებულია პოლიტიკური მოსაზრებებით. სხვათა შორის, ეს გარემოება ევროპულ იურისპრუდენციაში იმავითვე სერიოზულ კრიტიკას იწვევდა. ისეთი დიდი მეცნიერები, როგორნიც იყვნენ იერინგი, ბინდინგი და სხვები, წინააღმდეგნი იყვნენ ამ ინსტიტუტისა. ახლახანს იტალიაში ჩატარებულმა სოლიდურმა საერთაშორისო კონფერენციამაც არ მისცა რეკომენდაცია ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს. ისე, თუ რომელიმე ქვეყანა აიჩემებს, წინ ვერავინ დაუდგება. ამ მხრივ მისი შემოღება არც საქართველოშია გამორიცხული; მაგრამ გასათვალიწინებელია, რომ ეს წააწყდება დიდ ორგანიზაციულ, ფინანსურ და ტექნიკურ სირთულეებს.

— საბჭოთა კავშირის არსებობის პერიოდში სასამართლო წარმოება საქართველოში ხშირად რუსულად წარიმართებოდა...

— ამჟამად ვითარება შეცვლილია. მოქმედი კანონის შესაბამისად, სამართალწარმოება ხორციელდება ქართულ ენაზე; ავტონომიურ რესპუბლიკაში — ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო ენაზე. ამასთან, ყველა მოსამართლე უნდა ფლობდეს ქართულ ენას. პროცესის მონაწილეთათვის, რომლებმაც არ იციან სამართალწარმოების ენა, უზრუნველყოფილია თარჯიმნის მომსახურებით სარგებლობის უფლება. ეს ხომ საყოველთაოდ აღიარებული პრინციპია.

— ხომ არ ხდება ჩვენში უცხოური კანონების კალკირება, რას იტყოდით ამის შესახებ?

— მე არ მეგულება არც ერთი ახალი კანონი, რომელიც უცხოურის კალკია. ასე რომ ხდებოდეს, ჩვენს პარლამენტს აქამდე გაცილებით მეტი კანონი ექნებოდა მიღებული. კალკირება პრინციპულად მიუღებელია. სხვა საკითხია, რომ უნდა მივაღწიოთ დასავლურ კანონებთან ჩვენი კანონების ჰარმონიზაციას. უცხოეთის ქვეყნებში დაინტერესებულნი არიან, რაც შეიძლება მალე მოწესრიგდეს აქ მდგომარეობა, გვქონდეს მათ კანონებთან შესატყვისი რაც შეიძლება მეტი კანონი, რათა გაუადვილდეთ ჩვენთან პარტნიორობა. აუცილებელია ძალიან გონივრული და პროფესიული შეხედება ერთი მხრივ, ეროვნული ტრადიციებისა, მეორე მხრივ, დღევანდელი რეალიებისა, მესამე მხრივ, საერთაშორისო სტანდარტებისა. სხვანაირად არც გვცნობენ, და ვერც დავიმკვიდრებთ კუთვნილ ადგილს იმ საერთაშორისო ოჯახში, რომლისკენაც ჩვენ მივისწრაფვით.

— თქვენი აზრით, კანონები მკაცრი უნდა იყოს თუ ლმობიერი?

— არც სიმკაცრეა ცალსახად მისაღები • და არც ლმობიერება. თითოეული მათგანი აღმეტდილი უნდა იყოს ორი აუცილებელი ნიშნით. პირველი, სიმკაცრეცა და ლმობიერებაც უნდა იყოს სამართლიანი, თანაზომიერი ჩადენილი ქმედებისა და მეორე, ეფექტიანი. სიმკაცრე მკვეთრად უნდა გავიჯნოთ სისასტიკისაგან, რაც უზნეობაა და ამიტომ აბსოლუტურად დაუშვებელი.

— როგორია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ურთიერთობა ავტონომიების უზენაეს სასამართლოებთან?

— ამ მხრივ არაფერი შეცვლილა აჭარასთან მიმართებაში, რომლის მართლმსაჯულების ორგანოები განაგრძობენ ჩვენთან მჭიდრო თანამშრომლობას. რაც შეეხება აფხაზეთს, ჯერ კიდევ ომამდე აქ ნელ-ნელა შემოგვაპარეს თავიანთი „დამოუკიდებლობა“, არ იგზავნებოდა საქმეები გადასინჯვისათვის და ამას ხან ფოსტას აბრალებდნენ, ხან კიდევ სხვა უსუსურ მიზეზებს.

— რა შეგიძლიათ გვითხრათ ე.წ. „ყვარლის საქმესთან“ დაკავშირებით?

— სანამ პროცესი არ დამთავრდება, არა თუ რაიმის თქმის, ცოდნის უფლებაც კი არ მაქვს. მაგრამ თქვენი გარჯა ფუჭი რომ არ აღმოჩნდეს, ნებადართულ ფარგლებში. მაინც მოვიძევ რაიმე ინფორმაციას. ეს საქმე ჩვენთან შემოვიდა 30 მარტს და, შესაბამისი პროცედურის გაელის შემდეგ, გამწესრიგებელმა სხდომამ 12 აპრილს გააფორმა სათანადო დოკუმენტი საქმის წარმოებაში მიღებისა და 20 ბრალდებულის სამართალში მიცემის შესახებ. პროცესი 20 აპრილს დაიწყო. თავდაპირველად რამდენიმე განსასჯელი საერთოდ უარს ამბობდა დამცველის აყვანაზე, შემდეგ კი მოისურვეს, რისი სრული უფლებაც მათ ჰქონდათ. ამასთან გასათვალისწინებელია ისიც, რომ თვითონ საქმეში ახლად ჩართულ დამცველსაც აქვს უფლება მოითხოვს დრო საქმის საფუძვლიანად გაცნობისათვის. შემდეგ, ერთი და იმავე ადვოკატის გამოუცხადებლობის გამო საქმე შვიდჯერ გადაიდო...

— ეს მოხდა ადვოკატ ბერძენიშვილის გამოუცხადებლობის გამო, რომელსაც ჰქონდა მოტივი არ გამოცხადებულიყო: დაუკმაყოფილებელი დარჩა მისი შუამდგომლობა, გასცნობოდა გამწესრიგებელი სხდომის ოქმს. რატომ სხვა ადვოკატის გამოუცხადებლობაზე არ გამახვილდა ყურადღება?

— მხოლოდ ცალმხრივი ინფორმაციის საფუძველზე და მისი საგულდაგულოდ შემოწმების გარეშე კონკრეტულ საქმეზე წინასწარი დასკვნების გაკეთება შეუძლებლად და დაუშვებლად მიმაჩნია.

— რას იტყოდით სასამართლო პროცესზე ადამიანის უფლებების დარღვევის შემთხვევებზე?

— პროცესის არც ერთ სტადიაზე დარღვევები არ უნდა ხდებოდეს. სასამართლო პროცესზე, ჩვეულებრივ, დარღვევები ნაკლებად მოსალოდნელია, თუნდაც იმიტომ, რომ ყველაფერი დღის სინათლეზეა გამოტანილი. გაცილებით მეტია დარღვევების ალბათობა პროცესის ადრეულ სტადიებზე.

ყველა შემთხვევაში დარღვევის ფაქტები უნდა გამოვლინდეს და შეფასდეს. სათანადო დადასტურების შემთხვევაში, არსებობს მათი აღკვეთის, გამოსწორებისა და მაოზე რეაგირების მკაცრად განსაზღვრული საკანონმდებლო წესი, რომლის დაცვა ჩვენი პროფესიული და სამსახურებრივი ვალია.

— რა მოტივით შეიძლება სასამართლო პროცესიდან განსასჯელის გაძევება?

— თუ იგი ერთჯერადი გაფრთხილების შემდეგ განმეორებით ხელს შეუშლის პროცესის მსვლელობას, სასამართლოს განჩინებით შეიძლება გაძევებულ იქნეს; მაგრამ შემდგომში, თუ სასამართლო საჭიროდ ჩათვლის მის დაბრუნებას, ამის უფლებაც აქვს. მოკლედ, სასამართლო ამ საკითხს წყვეტს მართლმსაჯულების ინტერესებიდან გამომდინარე. საერთოდ, ყოველივე ეს კონკრეტული საქმის განხილველი სასამართლოს საზრუნავია და თუ აღმოჩნდება, რომ მან თავი ვერ გაართვა დაკისრებულ ფუნქციას, ამის იურიდიული შედეგებიც კანონით არის გათვალისწინებული. მთავარია, რომ პროცესის მსვლელობაში ვერავითარი გარეშე ძალა მის საქმეში ვერ ჩაერევა.

— როგორ უნდა შეფასდეს სასამართლო პროცესზე პატიმრებისათვის ყოველად უსაფუძვლოდ გაზის შესხურების შემთხვევა?

— არა, თუ სასამართლო პროცესზე, საერთოდაც, ადამიანისათვის გაზის უსაფუძვლოდ შესხურების ყოველი შემთხვევა უნდა შეფასდეს როგორც აღმაშფოთებელი, ამაზრზენი, შემაძრწუნებელი და მართლსაწინააღმდეგო ქმედება. თუ თქვენ „ყვარლის საქმესთან“ დაკავშირებით ინციდენტს გულისხმობთ, ბადრაგის მიერ ცრემლსადენი გაზის გამოყენება მოხდა სასამართლო სხდომის დამთავრების შემდეგ. არსებობს დეკრეტი პოლიციის შესახებ, ბადრაგი და დებულება საბადრაგო სამსახურის შესახებ. და ყველაფერი უნდა ხდებოდეს დადგენილი წესისა და პირობების შესაბამისად. როდესაც ეს ასე არ ხდება, ხორციელდება ღონისძიებები დამრღვევთა მიმართ.

— გარდა „ყვარლის საქმისა“, თუ არის კიდევ თქვენს წარმოებაში სხვა საქმე, რომელიც ყოფილი ხელისუფლების მომხრეებს უკავშირდება?

— სხვა ასეთი საქმე წარმოებაში არ გვაქვს.

— არის თუ არა საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე ჩადენილი ისეთი დანაშაულობანი, რომლებიც საერთაშორისო სამართლის სფეროს განეკუთვნება და როგორ ხდება შესაბამისი საქმეების განხილვა?

— უთუოდ არის და, ალბათ, არც თუ მცირე რაოდენობით. რატომღაც ისინი ჩვენამდე ვერ აღწევს. თუმცა სამწუხაროდ, არც სასამართლო პროცედურა არის შეშუშავებული ყველა ამ კატეგორიის საქმეზე. ვინაიდან საერთაშორისო სისხლის სამართლის კოდექსის პროექტი დღემდე ვერ მოიწონა გაერომ და სისხლის სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალის შემოღებაც ჭიანურდება, აღნიშნული საკითხები ჯერჯერობით წყდება საერთაშორისო შეთანხმებით ან ერთი რომელიმე სახელმწიფოსათვის საგანგებო უფლებამოსილებათა მინიჭებით.

— საქართველოს ტერიტორიაზე მისი მთლიანობის წინააღმდეგ იბრძვიან დაქირავებულები, ჩვენი მეზობელი სახელმწიფოების მოქალაქენი. იხილება თუ არა მათი საქმეები უზენაეს სასამართლოში?

— ე. წ. დაქირავებულების საქმეებს ჯერ-ჯერობით ჩვენამდე არ მოუღწევია.

— ბატონო მინდია, თუ არსებობს რაიმე საერთაშორისო სამართლებრივი ინსტიტუტი, რომელსაც უფლება აქვს განიხილოს ნებისმიერი ქვეყნის ტერიტორიაზე ავტონომიის გაუქმების საქმე, მიიღოს გადწყვეტილება. თუ შეიძლება თქვენი აზრი ე.წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გაუქმებაზე და აქვე, რამდენად სამართლებრივია იმ რეგიონში ოსების მიერ რეფერენდუმის ჩატარება, რესპუბლიკის გამოცხადება, აქედან გამომდინარე ყველა შედეგით?

— საერთაშორისო კანონმდებლობა არ ითვალისწინებს ეროვნული უმცირესობის უფლებას, შექმნას ტერიტორიული ავტონომია, აგრეთვე არ არის საერთაშორისო დოკუმენტებში დაფიქსირებული სახელმწიფოს მოვალეობა, მიანიჭოს ეროვნულ უმცირესობას ტერიტორიული ავტონომია.

რაც შეეხება ხსენებულ ინსტიტუტს, რამდენადაც მე ვიცი, იგი არ არსებობს: საკუთრივ საერთაშორისო სამართლებრივ აქტებში კი შეინიშნება ერთგვარი წინააღმდეგობანი. კერძოდ, თუ ერთი მხრივ, საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ ყველა ხალხს ანიჭებს თვითგამორკვევის უფლებასა და მისი ძალით საკუთარი ეროვნული სტატუსის დაწესებას, მეორე მხრივ, საერთაშორისო სამართლის ფუძემდებლური დებულებანი საყოველთაოდ აღიარებს თავის სუბიექტთა ტერიტორიულ მთლიანობასა და ეროვნულ სუვერენიტეტს. სხვა საქმეა, თუ რომელიმე სახელმწიფო თვითონ მოინდომებს, მიანიჭოს ეროვნულ უმცირესობას ავტონომიის სტატუსი; მისი ეს უფლება არ არის შეზღუდული საერთაშორისო სამართლით.

ეს საკითხები საკმაოდ ღრმად და დასაბუთებულად აქვს განხილული იაკობ ფუტკარაძეს (იხ. „სამართალი“ 1992, №12)

ის, თუ რამდენად მართლზომიერი იყო სამაჩაბლოში ავტონომიის გაუქმება, პოლიტიკური და ისტორიული თვალსაზრისით დავას არ უნდა იწვევდეს, ხოლო კვალიფიციური სამართლებრივი შეფასება კი იმ დაწესებულების კომპეტენცია იქნება, რომელიც საქართველოში კონსტიტუციურ კონტროლს განახორციელებს.

— როგორია თქვენი დამოკიდებულება სამედიატორო სასამართლოს ინსტიტუტისადმი?

— მისი დანიშნულება კეთილშობილია, გამოცდილება — გასათვალისწინებელი.

— თუ ხდება დაწოლა ზემოდან, რასაც ადრე ნებისმიერი უმნიშვნელო საქმის წარმოებისას აწყდებოდა სასამართლო?

— ვინაიდან ჩვენს ზემოთ ინსტანცია არ გვეგულება, თქვენი შეკითხვა, უთუოდ, ქვეშემდგომ სასამართლოებს უფრო შეეხება.

ზეწოლის მოხსნა [illegible] გამოლევს. მთავარი [illegible] ზეწოლას და რა მოსაზრებებით.

საკმაოდ ხშირია „უნებლიე“ ზეწოლის შემთხვევები. უპირატესად ეს წარმოდგება უბრალოებისგან, რომლებსაც გულუბრყვილოდ მიაჩნიათ, რომ ისინი უფრო პირუთვნელად განსჯიან, ვიდრე ამას სასამართლო პროცედურა ითვალისწინებს ან თუნდაც პროფესიული სასამართლო შეძლებს.

ორი კანონზომიერება იკვეთება: პირველი, სასამართლოზე ზეგავლენას დაბალი და საშუალო რანგის მოხელეები უფრო ცდილობენ, ვიდრე მაღლისა. უმაღლესი თანამდებობის პირებიდან სასამართლო საქმიანობაში ჩარევა პრაქტიკულად გამორიცხულია. მეორე, პიროვნული დაინტერესება ამა თუ იმ საქმის შედეგით სულ უფრო ხშირად ჰპოვებს გამოხატულებას ამა თუ იმ პარტიის, ფორმირებისა თუ გაერთიანების დაინტერესებით.

— თქვენგან დანახული პრესა?

— ქართული პრესის ყველაზე სუსტი ადგილი, პირადად ჩემი აზრით, სამართლებრივი საკითხების გაშუქებაა. ერთპარტიული დიქტატის დროს არ იყვნენ დაინტერესებულნი ალეზარდათ ამ საკითხების ღრმად მცოდნე ჟურნალისტები. გაჟავს სპორტული, ეკონომიკური თუ პოლიტიკური თემების კვალიფიციურად მცოდნე პრესის მუშაკები, რასაც, საწუხაროდ, ვერ ვიტყვი ჩემს დარგზე. ამ საქმეში აუცილებელია მოხდეს ძირეული გარდატეხა. ვურჩევდი ყველა დაინტერესებულ ჟურნალისტს კონსულტაციებისათვის მიმართოს ამ საკითხებში ყველაზე ღრმად ჩახედულ იურისტს ბატონ ოთარ გამყრელიძეს. ისე კი უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპი დრია ყველამ გავითავისოთ — ბრალდებული უდანაშაულოდ ითვლება, ვიდრე მისი ბრალეულობა არ დადგინდება კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენით არადა საწუხაროდ, ამ მხრივ ქართული პრესა ძალზე ხშირად სცოდავს. ულმობელი სიტყვა „მოლალატე“ კი ისე გავაუბრალოეთ, რომ ლამის პირველადი მნიშვნელობა დავუკარგოთ.

— მადლობა მოგახსენებთ მობრძანებისათვის, შეგეცდებით გავითვალისწინოთ ჟურნალისტების მიმართ გამოთქმული თქვენი სურვილები. ყოველივე კარგს გისურვებთ.

მერაბ მაისურაძე

აფხაზეთის სამთავროს წარმოშობის საკითხისათვის

არსებობდა კი აფხაზთა სამთავრო XVII–XVIII საუკუნეებში?

აბესალომ ტუღუში

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №№ 19, 20

ნვრილ-წვრილ აფხაზურ სამფლობელოთა ერთი განმგებლის ხელისუფლების ქვეშ გაერთიანება დაიწყო XVIII საუკუნის მიწურულს, ცხუმის მფლობელის, ქელაიშ აჰმედ ბეგ შარვაშიძის დროს.

ოდიშართა და იმერელთა მიერ რუსის ომში სასტიკ მარცხნაგემები შარვაშიძეები, მალე კვლავ ერთმანეთს გადაკიდებიან. ქელეშ-აჰმედ ბეგ შარვაშიძემ, რომელსაც [illegible]ტავებოდა ცხუმის ციხის და მისი შემოგარენის მფლობელობა, თავისი ბიძა, ზურაბ შარვაშიძე თურქთა დახმარებით განდევნა ზუფუდან (ბზიფის აფხაზეთიდან) და მის სამფლობელოსაც დაეპატრონა. ნიკო დადიანის (...1780-—1834) ცნობით „ამისათვის წარმოვიდა ზურაბ შარვაშიძე და მოვიდა კაცია დადიანისა თანა და სთხოვა შეწევნა. უხმინა დადიანმა, შეკრიბა სპანი თვისნი, აჩინა მხედართმთავრად ძმა თვისი გიორგი და წარგზავნა აფხაზეთად. მივიდნენ რა აფხაზეთს, ურჩნი ზურაბისანი მოსწვეს, მოსწყვიდეს და შემდგომად მოადგნენ ცხუმის ციხესა, სადაცა მამაცად ბრძოდნენ ...მეციხოვანენი ქელაიშ აჰმად ბეგისანი. გარნა სიმხნე მამაცობითა საქებელითა აღიღო ციხე იგი გიორგი დადიანის ძემან და მოიქცა გამარჯვებული კვალად ოდიშადვე“ (ნიკო დადიანი. ქართველთ ცხოვრება. გვ.181).

ამრიგად, ქელეშ აჰმად ბეგ შარვაშიძემ იმხანად ვერ შეძლო ზუფუს შენარჩუნება, მაგრამ ის მაინც არ ცხრებოდა, და XVIII საუკუნის მიწურულისათვის მაინც მოახერხა თავისი ძალაუფლების გარკვეულწილად გავრცელება თითქმის მთელ აფხაზეთზე. „ეპყრა ყოველი აფხაზეთი ვიდრე ღალიძგამდე და მძლავრობდაცა დადიანის სამფლობელო სამურზაყანო-აფხაზეთს [illegible]“ — გვაუწყებს ნიკო დადიანი, (იქვე. გვ.192) მაგრამ ეს ძალაუფლება მაინც არ იყო ერთმმართველი, თვითმპყრობელი (როგორც ოდიშის მთავარს უწოდებენ ხშირად თანამედროვენი) ხელმწიფის ძალაუფლება. საყურადღებოა რომ სემიონ ბრონევსკი (1763—1830), რომელმაც XIX საუკუნის დამდეგს იმოგზაურა შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე, ქელეშ-ბეგს „აფხაზ მფლობელთაგან უპირველესს“ — უწოდებს (С.Броневский, Новейшия геогрофическия и историческия известия о кавказе, ч. I. м. 1823. стр. 295). მართალია, იმ მხარდაჭერის ძალით, რომელიც მას თურქეთის მხრიდან ჰქონდა, როგორც სულთნის მიერ სუხემ-კალეს (ცხუმის ციხის) ბეგად (აფხაზთა ბეგად) დანიშნულს, და იმ პიროვნული თვისებების წყალობით (გამჭრიახობა, სიმამაცე, ცბიერება, სივერაგე, დანდობლობა) რომლითაც ის იყო ცნობილი, ქელეშ-ბეგ შარვაშიძემ შეძლო როგორც ზუფუსა და აბჟუას, ასევე წვრილ-წვრილ აფხაზურ სამფლობელოთა და თემთა თავის ყმადაფიცებად გადაქცევა, მათი დამოუკიდებლობის შეზღუდვა, (ცხუმის ციხესა და მის „მიმდგამ“ ქვეყანას, როგორც უკვე ითქვა თვითონ განაგებდა), მაგრამ მათი, როგორც ცალკე პოლიტიკური ერთეულების გაუქმება მან ვერ შეძლო.

ქელეშ-ბეგ შარვაშიძის, როგორც ხელისუფლის შესახებ გამორჩეულად ზედმიწევნილ ცნობებს შეიცავს რუსი მოხელის, პეტრ ლიტვინოვის ერთი წერილი, რომელსაც თარიღად 1805 წლის 15 ივლისი უზის. პ.ლიტვინოვი, რომელიც ამ დროს ყულევში იმყოფებოდა, რუსეთის მთავრობის დავალებით აგროვებდა სანდო ცნობებს იმჟამინდელი აფხაზეთის შინა პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ. აი, რას წერს ის, ზემოხსენებულ წერილში:

„იმისთვის, რომ თქვენს აღმატებულებას მივცე ცნობები ქელეშ-ბეგზე და მის უფლებებზე აფხაზეთში...მე საჭიროდ ჩავთვალე ჩემთან მოსული ცნობებისათვის დამერთო რუქა, რომელზედაც აღნიშნულია იქაური სხვადასხვა სამფლობელოები (владения), ამასთან, განვმარტო მათი ურთიერთისადმი დამოკიდებულება. შარვაშიძეთა სახლი, რომელიც აფხაზეთს ფლობს, ჟამთა ვითარებისა და მათი სახლეულობის გამრავლების კვალად განიყო სხვადასხვა ტოტად და ცალკე სათავადოებად (княжевства), რომელნიც უწინ ყველანი ქრისტიანობის აღმასრულებელნი იყვნენ. ახლა კი, ენგურიდან დაწყებული ღალიძგამდე (галицкали), რომელზედაც დგას ილორის მონასტერი, ცხოვრობენ ქრისტიანები, რომელთა მწყემსმთავარი ცაიშელი ეპისკოპოსია და ემორჩილებიან სამ მფლობელს — ლევან, მანუჩარ და ბეჟან შარვაშიძეებს; მეორე, მდინარეებს ღალიძგასა და კოდორს შორის მდებარე სამფლობელო ეკუთვნით ბექირ-ბეგ შარვაშიძის შვილებს, რომელნიც უკვე მაჰმადიანები არიან, ხოლო მოსახლეობა კი შერეული, ქრისტიანულ-მაჰმადიანურია; მესამე სამფლობელო, მდინარე კოდორიდან სოხუმამდე და იქითაც, ეკუთვნის ქელეშ-ბეგ შარვაშიძეს, რომლის ბაბუამ მიიღო მაჰმადიანობა, მოსახლეობა უმეტესწილად მაჰმადიანები არიან. ეს უკანასკნელი, რომელსაც თურქეთის სამეფო კარი უჭერს მხარს გაძლიერდა და მოიპოვა შარვაშიძეებზე ხელისუფლება“ (акты.IIგვ.528).

როგორც ვხედავთ, პეტრ ლიტვინოვი აფხაზ მფლობელთაგან ყველაზე მძლავრს, ქელეშ-ბეგ შარვაშიძეს სავსებით ცხადად წარმოგვიდგენს არა როგორც ერთმმართველ, სრულიად აფხაზეთის განუყოფლად მპყრობელ მთავრად, არამედ ერთერთი აფხაზური სამფლობელოს (ცხუმისა და ზუფუს) ბატონად, რომელიც მხოლოდ თურქეთის მხარდაჭერითაა სხვებზე ძლიერი და სხვა შარვაშიძეებს შორის უმთავრესი.

მართალია. პ. ლიტვინოვის ცნობიდან ჩანს, რომ ქელეშ-ბეგი ფლობს როგორც ცხუმს და მის „მიმდგამ“ ქვეყანას, ასევე ზუფუსაც (ბზიფის აფხაზეთსაც), მაგრამ, მისი ხელისუფლება, როგორც ირკვევა არ ვრცელდებოდა მდინარეებს კოდორსა და შიწკუარას შორის ტერიტორიაზე. თავიდან რომ აეცილებინა მოსალოდნელი ამბოხება თავისი შვილის საფარ-ბეგის მხრიდან, რომლის ზურგს უკან თავისი მეოთხე ცოლი, აფხაზეთში უდიდესი გავლენის მქონე ქალი რაბია-ხანუმ მარშანია იდგა, ქელეშ-ბეგ შარვაშიძე იძულებული გახდა მისთვის საკუთრად გადაეცა კოდორ-შიცკუარას (მეგრულად-ჯინწყარს) შორის ქვეყანა. ერთად ერთი პირობა, რომელიც მას დაუდო, ა.პახომოვის, XVIII—XIX საუკუნეთა მიჯნის აფხაზეთის პოლიტიკური ცხოვრების ამ შესანიშნავი მცოდნის ცნობით, იყო ის, რომ საფარ-ბეგი ყოფილიყო მისი მოკავშირე, მაგრამ არავითარ შემთხვევაში ქვეშევრდომი — „быть союзником, но никак не подданым“ (ი. ანთელავა, გ.ძიძარია. მასალები აფხაზეთის სამთავროს ისტორიისათვის. „საისტორიო მოამბე“, 7.-თბ.1953.გვ.233).

ამ მაგალითიდან, კარგად ჩანს თუ რამდენად მყარად „ეპყრა“ მას „ყოველი აფხაზეთი ვიდრე ღალიძგამდე“. რაც შეეხება სამურზაყანოს, მას, როგორც პეტრ ლიტვინოვის ზემოთ მოხმობილი ცნობებიდანაც ჩანს, ერთდროულად სამი მფლობელი ჰყავდა. ერთერთი მათგანი, მანუჩარ შარვაშიძე 1804 წელს სამურზაყანოს შესახებ წერდა: „ქვეყანა ჩვენი იყო ზედმოკიდებული დადიანისა კერძო ვიდრე აშლილობისა ჟამამდე და არა აქვნდა უფლება მას ზედა არცა უწინარეს და არცა ამას ჟამა არცა პორტასა ათმანსა და არცა ქელეშბეგსა“ (акты.II.გვ.536).

თუკი ზუფუზე და აბჟუაზე ქელეშ-ბეგ შარვაშიძის ხელისუფლება, თუმც ძალიან სუსტად, მაგრამ მაინც ვრცელდებოდა, წებელდა, ფსხუ და აჩჩიფსხუ სრულიად დამოუკიდებელნი იყვნენ და არავის ხელისუფლებას არ ცნობდნენ (А.Дьячковъ Тарасов, Абхазия и Сухум в XIX столетие. ИКОИРГО т. XX. (1909—1910). №2. стр. 150).

როგორც ვხედავთ, ქელეშ-ბეგ შარვაშიძე არ იყო არავითარი მთავარი ამ სიტყვის დღევანდელი გაგებით, არ იყო ერთმმართველი ხელმწიფე, მბრძანებელი მთელი აფხაზეთისა. პროფ. მამია დუმბაძის სიტყვებით რომ

ვქვათ, ის იყო მხოლოდ უფროსი თანასწორთა შორის (მ.დუმბაძე, დასავლეთი საქართველო XIX საუკუნის პირველ ნახევარში. თბ.1957.გვ.129)

უაღრესად საყურადღებო ცნობას გვაწვდის აფხაზეთის „მთავრის“ უფლებებზე დე-სკასსი 1820 წელს შედგენილ „ჩანაწერებში“. ეხება, რა რუსეთის მიერ მთავრად („владетель ад) აღიარებული საფარ-ბეგ შარვაშიძის ხელისუფლებას, დე-სკასსი წერს: „მას (მთავარს) არ შეუძლია ტომის საბჭოს (совет рода) მოწვევის გარეშე, სადაც თავადაზნაურობა და ხალხი იკრიბება, არავითარი გადაწყვეტილების მიღება. აქ გადაწვეტილებები მიიღება ხმათა უმრავლესობით. თუმც ისიც მართალია, რომ მისი და მისი ძმების ხმას ამგვარ შეკრებებზე დიდი წონა აქვს“ (ЦАВП МИД. оп. 1е9. дело 4. л.2е43. ვუთითებ ირ.ანთელავას მიხედვით).

აქ არსებითად ადრეფეოდალური ურთიერთობაა დაფიქსირებული. აშკარად ჩანს, რომ საფარ-ბეგ შარვაშიძეც კი, რომლის ხელისუფლების გაძლიერებაზე რუსეთი თანმიმდევრულად ზრუნადა, რათა ამ გზით თავისი პოზიციები გაემაგრებინა შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე, თვისტომ თავადთა შორის Primes inter pares-ს (თანასწორთა შორის პირველს) წარმოადგენდა მხოლოდ. მისი ხელისუფლება შეზღუდული იყო არა მარტო გარეგნულად მისი ხელქვეითი სათავადოების, არამედ სახალხო კრების მიერაც, რომელიც უმისოდაც როგორც დე-სკასსის ზემოთ დამოწმებული ცნობიდან ჩანს, საფარ-ბეგი ვერავითარ გადაწყვეტილებას ვერ იღებდა.

აფხაზეთის ისტორიის ცნობილმა რუსმა მკვლევარმა ა.ფადეევაც, თავის დროზე ამგვარივე დასკვნა გააკეთა. „лихнские начба“ წერს ა. ფადეევი — в эпоху расцвета феодальных отношений занимали среди других феодалов положения “первых среди равных“, обладая в значительной степени номинальной властью, а на деле пасуя перед могуществом своих “подвластных“ князей и дворян, признавали владетелей постолько они имели большую силу“ (А.фадеев, Меч и золота на берегах Абхазии, Сух.1933.стр.39).

მაინც, რა საზოგაოებრივი ურთიერთობები იყო ისეთი XVII—XVIII საუკუნეთა აფხაზეთში, რომ ვერცერთი თავადი ვერა და ჯერ ახერხებდა სრულიად აფხაზეთის ერთმმართველად გახდომას, რომ ვერა და ვერ შეიქმნა აფხაზეთის ერთიანი სახელმწიფოებრიობა, ვერ შეიქმნა სამთავრო?

XVIII—XIX საუკუნეთა მიჯნის აფხაზური ტომების სოციალური სტრუქტურის შესახ უძვირფასესი ცნობებია დაცული კ.კუდრიავცევის ნაშრომში „сборник матеиалв по истории Абхазии“.

XVIII—XIX საუკუნეთა მიჯნაზე — წერს კ.კუდრიავცევი — აფხაზეთი დაყოფილია აკიტებად, გაერთიანებებად, რომლიც რაღაც საშუალოს წარმოადგენს თემსა და ფეოდაურ ერთეულს შორის. აკიტა — ეს იყო რამდენიმე საგვარეულო კავშირის გაერთიანება, სადაც უპირატესი გავლენითა და მნიშვნელობით სარგებლობდა ერთი ამ საგვარეულოთაგანი. აკიტა წარმოადგენდა ნახევრად დამოუკიდებელ ერთეულს, ცხოვრობდა ჩვეულებითი სამართალითა და საუკუნეთა განმალობაში მასში დამკვიდრებული ურთიერთობებით.

აკიტას მოვალეობა იყო თავისი წევრების ქონების და სიცოცხლის დაცვა, სისხლის აღების, ლაშქრობებისა და მიხდომების მოწყობა და მათგანვე თავდაცვა.

აკიტას სათავეში იდგა თავადი (атавад), რომელსაც ახილაფშუკ ერქვა და რომელიც მისი პატრონი, მფარველი, უფროსი, დამცველი იყო. აკიტას ყველა წევრი ახილაფშუკს მიმართ წარმოადგენდა ხიფშ-ს ანუ საურავს (опекаеммый ს). (К. Кудрявцев, сборник материалов по истории Абхазии. Кух. 1926. стр. 16)

კ. კუდრიავცევის ეს ცნობა, ყოველივე იმის გათვალისწინებით, რაც ზემოთ უკვე ითვა, იძლევა იმის საშუალებას, რომ ის წვრილ-წვრილი აფხაზური თავნება. სამფლობელოები, რომელთა დამორჩილებას და მათზე თავიანთი ხელისუფლების გავრცელების გზით გახელმწიფებას ამაოდ ესწრაფვოდნენ შავრაშიძეთა თავადური სახლის სხვადასხვა წარმომადგენლები, სწორედ ეს აკიტად წოდებული გვაროვნული კავშირები იყვნენ. რაც შეეხება მათ სათავეში მდგომ თავადს, ის სარდალ-მოურავის უფლებებით უნდა ყოფილიყო აღჭურვილი (ამაზე უთითებს ის, რომ აკიტას წევრები საურავად იწოდებოდნენ, ხოლო აკიტას თავკაცის ერთერთი უძირითადესი მოვალეობა ლაშქრის წინამძღოლობა იყო).

ზუფუ(ბზიფის აფხაზეთი), გუმის აფხაზეთი (ანუ აყუს ქვეყანა), აბჟუა (ანუ შუა სოფელი), უფრო საყმოები (ანუ სათავადოები) უნდა ყოფილიყვენ, ვიდრე აკიტები. რაც შეეხება წებელდას, ფსხუს, დალს და ანჩიფსხუს ისინი მსხვილი თემები უნდა ყოფილიყვნენ

საყურაღებოა, რომ XVII—XVIII საუკუნეთა და XIX საუკუნის პირველი ნახევრის აფხაზეთის დაყოფა მეტნაკლები სიზუსტით ემთხვევა აფხაზეთის ადრიდელ,დაყოფას (აფხაზთა საერისთაოს შეესაბამება ზუფუ ანუ ბზიფის აფხაზეთი, ცხუმის საერისთაოს — აყუს აფხაზეთი. რაც შეეხება აბჟუას ის უფრო გვიან — XVII საუკუნის მეორე ნახევარში იქნა აფხაზთა მიერ [illegible] ყრობილი და ათვისებული).

ამგვარ დამთხვევას, პირველად ყურადღება მიაქცია ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა ბ. ლომინაძემ. მანვე შეიტანა პირველად ეჭვი, ამ დროს აფხაზეთის სამთავროს არსებობაში, რაც იქიდან ჩანს რომ ის სიტყვას — სამთავრო, აფაზეთის მიმართ კონტექსტში ბრჭყალებში სვამს (ბ.ლომინაძე, ქართული ფეოდალური ურთიერთობების ისტორიიდან. I. თბ.1966.-გვ.230).

ყოველივე ზემოთ თქმულის გავალისწინებით, შეიძლება დავასკვნათ შემდეგი:

ირკვევა, რომ XVII—XVIII საუკუნეთა მთელ მანძილზე და XIX საუკუნის დამდეგსაც, აფხაზეთი წარმოადგენდა ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ სათავადოებად (საყმოებად) და მსხვილ და წვრილ აკიტებად (თემებად) დაქუცმაცებულ სივრცეს, რომელსაც არეთიანებდა მხოლოდ ეთნიკურ-ენობრივი და გვაროვნულ-ნათესაობრივი საფუძვები და მეტნაკლებად მსგავსი სოციალურ-საზოგადოებრივი განვითარების დონე. ასეთ.ვითარეაში კი ცხადია არ არსებობდა და არც შეიძლება არსებულიყო ნიადაგი აფხაზეთის სამთავროს, როგორც ფეოდალური სახელმწიფოს წარმოშობისათვის და ის არც წარმოშობილა.

დასასრული მომდევნო ნომერში

რეტროთი შეზავებული სოციალური თემები

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეში ხუთი გრამი ხორცი

„1923 წელს რეზინის ნაწარმის ფაბრიკაში რეკლამის საქმეს ვხელმძღვანელობდი. ინფლაციის დრო იყო. თვეში ორას მილიონ მარკას ვღებულობდი. ფულს დღეში ორჯერ გვირიგებდნენ და ორივეჯერ ნახევარსაათიან შესვენებას აწყობდნენ, რათა მაღაზიაში მიგვერბინა და რაიმეს ყიდვა მოგვესწრო დოლარის კურსის მეორე გამოცხადებამდე, რადგან [illegible] ილი ახალი კურსის გამოცხადე[illegible] ფული სანახევროდ უფასუ[illegible]ა".

[illegible] მარია რემარკი „სამი მეგობარი"

საქართველოში ლუხჭირი ცხოვრება ბევრჯერ რომ ყოფილა, ამაზე ნათლად მეტყველებს ჩვენი ანდაზები. ვთქვათ — „გაჭირვებულ კაცს ქვა ალმართში მიეწიაო" (დღეს ქვიშთვის ვინ დაიკუზება ჯელში „კალაშნიკოვები" აქვთ ჩაბღუჯ[illegible]ლი). ან, თქვენ ხართ ჩემი ბატონი — „გაჭირვება მიჩვენე გაქცევას გიჩვენებო" (ამ[illegible]კტი გაჭირვება რაღა იქნება, მაგრამ სად გაიქცეთ?)

ანალოგიურ ანდაზებში ხანდახან ოპტიმისტური ნოტაც გამოერეოდა, მაგალითად ისეთი, როგორიცაა — „გაჭირვებამ დედოფალთან დამაწვინა" (ნეტავ როდის დაგვიდგება ასეთი გაჭირვება). თუმცა მედალს ორი მხარე აქვს. თუ ადრე რაიმეში გადახდილი ფულის ნიშნების ანგარიშში ელემენტარული არითმეტიკა სრულიად საკმარისი იყო დღეს ისეთი მწირი ცოდნით ფონს ვერ გახვალ და ჩვენი ანგარიშის კულტურა უმაღლეს მ[illegible]ჯიკამდე ამაღლდა.

მართალია ჩვენმა ხელფასებმა ამ ეტაპზე როგორც 1923 წლის გერმანიაში მილიონამდე ვერ მიაღწია, მაგრამ თუ ამ ტემპით ვიარეთ, შორს აღარა ვართ ხანუკარ მიზნამდე, რომ საქართველო ბილიონერთა ქვეყნად გადაიქცეს.

ალბათ უპრიანი იქნებოდა რემარკს ისიც ეთქვა მაშინდელი ხელფასით რისა ყიდვა შეიძლებოდა. ჩვენ კი, იგივე „შეცდომა" რომ არ დავუშვათ ისტორიის წინაშე გვინდა დავაფიქსიროთ ჩვენი ხელფასით რის შეძენა შეგვიძლია.

პირადად ჩემი ხელფასით სულ თავისუფლად შემიძლია ვიყიდო 600 გრამი ხორცი, ან ორი კილოგრამი პამიდორი, თუნდაც 5 კილოგრამი კარტოფილი, თუ ყოველივე ამას სულადობაზე ანუ ოთხ ოჯახის წევრზე გადავიანგარიშებთ, თვეში შეგვიძლია მივიღოთ 150 გრამი ხორცი (დღეში 5 გრამი ან 35 გრამი კარტოფილი (პამიდორზე და სხვა პროდუქტებზე გადაანგარიშება მკითხველისათვის მიგვინდია).

ეს ჩემი დაანგარიშება ნაცნობ ბიზნესმენს რომ გავუზიარე ეჭვით შემომხედა — შენ, თუ ძმა ხარ, საიქიოდან ხომ არ მელაპარაკებიო.

არადა სულ რაღაც სამიოდე წლის წინ ქართველები პირადი ფიზიკური წონით შეუდარებლად ჯუსწრებდით ჩვენს მოძმე რესპუბლიკებს, ჩვენი უფროსი „ძმის" რუსეთის ჩათვლით.

ამ გაჭირვებას კიდევ როგორმე აიტანდა კაცი, მაგრამ დიდი ხნის უნახავმა ნაცნობ-მეგობრებმა რომ უხმოდ ამიარეს გვერდი, ერთი პირობა ვიფიქრე დააწინაურეს მეთქი, შემდეგ დავრწმუნდი, რომ მიზეზი სულ სხვა იყო — ჩვენს უჭმელ-უსმელ ყოფაში ადამიანს ყოველდღიურად თუ არ შეაჩვიე თვალი მერე მართლა გაგიჭირდება ცნობა.

თუ ასე გაგრძელდა მალე საკვები აღარ გვექნება და ხელფასიანებს ისღა დაგვრჩენია ჩვენი სასიქადულო დეპუტაციის ერთ-ერთი ღირსეულ წევრს მურმანიძეს მივბაძოთ — პირი ავიკრათ.

ოდნავ ზემოთ ჩვენი მათემატიკური კულტურის განვითარების მიზეზები ავხსენით. დღეს ყველა პირობა იქმნება საიმისოდ რომ მალე ადამიანის ანატომიაშიც დავსპეციალდეთ. საბოლოო საგანი კი ალბათ ასტრონომია იქნება-ციურ სხეულებთან შეხვედრა-გარდასახვა.

ჯემალ კასრაძე

„დათესვით ბევრი დავთესე, რაღა დაგიმალო" ანუ სოფელი ქალაქში

ბავშვობაში მოსმენილმა რეფრენმა, რომელიც თავის ენთუზიაზმს და შრომის ხალისს მატებდა კოლმეურნეს და ახალი არნახული ზღუდეების დასალაშქრავად უბიძგებდა, არანაკლები აქტუ[illegible] შეიძინა ქალაქში. დღეს თბილისში თითქმის ვერ ნახავთ საცხოვრებელ კორპუსს, რომლის მიმდებარე მიწა შემოღობილ-დამუშავებულ-დათესილი არ იყოს.

ამ იძულებით ლონისძიებასაც წინ უსწრებდა მთავრობის ლოზუნგის დევალვაცია „აცე ვირო გაზაფხულზე იონჯა მოვაო". (ე.ი. ჰუმანიტარული დახმარება შემოგვივაო)

თბილისში იმდენი და იმდენგან ითესება (და ამას კეკელა და მაროსი არ იყოს, არც მალავენ). რომ მოსავალი ზოგმა ბიზნესის წყაროდაც კი აქცია.

ამ შრომით ალტკინებას, ცხადია, ვერც სპორტული მოედნები გადაურჩნენ, ეგ კი არა და ზოგმა ბოსტნეულის მოსაყვანად დაუმთავრებელი ლოჯიებიც კი გამოიყენა.

აქ აღბეჭდილმა ფეხბურთის მოედანმა, რომელიც ზოია რუხაძის ქუჩაზეა გადაღებული, ჩვენი ყურადღება უფრო იმიტომ მიიპყრო, რომ იგი გარკვეულწილად ისტორიულია. სწორედ ეს მოედანია (ახლა რომ მწვანედ ბიბინებს) გადაღებული პოპულარულ ქართულ ფილმ „ცისფერ მთებში". გახსოვთ ალბათ მოტობურთელები უზარმაზარ ბურთს რომ დააგორებენ. კიდევ კარგი მაშინაც ასეთი გაჭირვება არ იყო, თორემ ფილმის სცენარისტს და რეჟისორს ფაბულის შეცვლა მოუწევდათ, რადგან დღეს, დაუთესავ მოედანს სანთლითაც ვერ იპოვი. ამ ბოსტან-სტადიონზე კი კერძო მესაკუთრეები, მოტობურთელებს კი არა, ფეხის წვერებზე მოფარფატე ნინო ანანიაშვილსაც კი არ შეუშვებენ.

ამ აქციას, რომელმაც ფეხბურთის მოედანი ბოსტნად აქცია, მხოლოდ ბავშვებმა გაუწიეს წინააღმდეგობა, აქაოდა —კანფეტი, ნაყინი და სალეჭი რეზინი ხომ დაგვინატრულდა და ბურთის თამაშს რაღას გვერჩითო. მაგრამ კუშტად მომზირალი უფროსების სახეს რომ შეხედეს, გუმანით მიხვდნენ საქმე უფრო სერიოზულად არისო და კრინტიც აღარ დაუძრავთ.

არადა, ან მშობლებმა რა ქნან და ან ბავშვებს რას ვერჩით?

ჯემალ კასრაძე



ბატონო რედაქტორო!

მე თქვენი გაზეთის თავდადებული მკითხველი ვარ და სწორედ ამიტომ გადავწყვიტე ჩემი ამქვეყნისკენ [illegible]უნებისა და რწმენის დაბრუნებ[illegible]ული თქვენთვის გამეზიარებინა.

მოგეხსენებათ ჩვენი ლუხჭირი ცხოვრება — ომი და იქ დაღუპული ახალგაზრდობა. ამას დაემატა ოჯახის ერთი დიდი დარდიც (ნება მიბოძეთ არ გავამხილო). ყოველივე ამის გამო დამეწყო სულიერი აშლილობა, ნერვული სტრესები, ჰიპერტონია. დამიავადდა ნაღვლის ბუშტი. ამიწია წნევამ. ერთი სიტყვით მთელი იმედი ექიმებზეღა დავამყარე. მათ კი სამწუხაროდ საოცარი გულგრილობა გამოიჩინეს, თუმცა თემქის მე-7 პოლიკლინიკიდან სადაც არაერთხელ დავრეკე რომ მოეხედათ, ერთი პასუხი ისმოდა — იქ მივსულიყავი. ჩემს განმარტებაზე, რომ ეზოში ჩამოსვლაც კი არ შემეძლო, დუმილით ხვდებოდნენ.

ამ გულგრილობამ მდგომარეობა უფრო მეტად გამირთულა და რაც მთავარია, ადამიანის რწმენა დამიკარგა. გადავწყვიტე თვითმკურნალობისთვის მიმემართა. ამან არავითარი შედეგი არ გამოიღო, მაგრამ როგორც ჩანს, ბოლომდე განწირული არ ვიყავი. იგივე მე-7 პოლიკლინიკიდან მეწვია ექიმი სედა აბოვიანი. მისმა ადამიანურმა, უანგარო მოპყრობამ ნაწილობრივ დამიბრუნა რწმენა. კიდევ რომ გამიჭირდა, ამჯერად მე-8 საავადმყოფოს ექიმმა ჯუნა ჩხიკვაძემ მომაკითხა — სასიკვდილო არაფერი გჭირსო. ამ უაღრესად განათლებულმა და ერუდირებულმა ადამიანმა ძალიან დამამშვიდა. წასვლისას გამაფრთხილა, თუ კიდევ დაგჭირდეთ, არ მოგერიდოთ, ტელეფონით დამირეკეთო.

საბოლოოდ ჩემს ფეხზე დაყენებას ხელი შეუწყო ამავე მე-8 საავადმყოფოს ექიმმა ფერეიდნელმა ქართველმა ასლან ასლანიკაშვილმა. მასთან შარშან საავადმყოფოში ვმკურნალობდი და ჩემი ყურადღება უპირველესად იმით მიიპყრო, რომ ავადმყოფს ხელებში არ უყურებდა. ბატონი ასლანი სამ დღეში ერთხელ მირეკავს.

ბატონო რედაქტორო, ჩემი თავგადასავალი მარტო მე რომ მეხებოდეს, შეიძლება არც შემეწუხებინეთ, მაგრამ რამდენი ჩემზე უფრო გაჭირვებულიცაა, გადაუდებელი დახმარება რომ სჭირდება. სწორედ მათ მინდა ვუთხრა, ნუ დაკარგავთ რწმენას, ქვეყნად კეთილი ადამიანებიც არსებობენ!

რუსული ენისა და ლიტერატურის პედაგოგი, ამჟამად პენსიონერი

მერი გაჩეჩილაძე

რედაქციისაგან

გაზეთ „საქართველოს" წინა, მე-20 ნომერში დაიბეჭდა ჩვენი კორესპონდენტის მ. მაისურაძის წერილი „ხუტლუ-ბუღას შთამომავალნი შევარდნაძის შესახებ"

წერილში საუბარი იყო ოს სეპარატისტებზე და ერთ-ერთ აბზაცში ეწერა: „უმადურობის კლასიკური ნიმუშია ოსური ნაციონალ-სეპარატიზმის ლიდერის, დღევანდელი ხელისუფლებისაგან დიდად პატივნაცემი კაცის, ბატონ ჭაბა იოსელიანის პირადი მეგობრის (ასე ამბობს თვითონ) თორეზ კულუმბეგოვის სიტყვები".

წერილის ამ დეტალთან დაკავშირებით ბატონმა ჭაბა იოსელიანმა თავაზიანად განგვიმარტა, რომ მას კულუმბეგოვი მხოლოდ ერთხელ ჰყავს ნანახი პირადად, ისიც ბატონ შევარდნაძესთან ერთად ცხინვალში ყოფნის ჟამს...

იყიდება:

1. იუგოსლავიის წარმოების რბილი ავეჯი („ტროიკა") „მიქელანჯელო", ხუთი ნაჭრით.

2. იუგოსლავიის წარმოების სასადილო კედელი („სტენკა") „კლასიკა"; რბილი ავეჯით, მაგიდებითა და სკამებით.

ფასი შეთანხმებით.
ცნობებისათვის დარეკეთ 18-დან 21სთ-მდე
ტელ: 73—06-85

მთავარი რედაქტორი
ნოდარ გრიგალაშვილი

სარედაქციო საბჭო
თენგიზ გოგოტიშვილი
ჯემალ კასრაძე
ვახტანგ კომახიძე
მერაბ მაისურაძე
სერგო ჯანაშია

რედაქციის მისამართი:
თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. 5

ტელ:
რედაქტორი: 93-20-36,
მოადგილე: 93-18-41.
პასუხისმგებელი მდივანი: 93-19-99

გაზეთი იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის 29.

შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

გაზეთის ინდექსი 66447

ფასი 30 კუპონი